



2009 წელი, 24-30 სექტემბერი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№27 (461) ბაზოლის 1998 წლიდან

სამშვიდოხო განათლების სტრატეგია



გვერდი 4-5

„დილოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

2009-2010 სასწავლო წელს გაზეთი „დილოგი“ კვლავაც თქვენი საჭიროებების გათვალისწინებით დაკომპლექტდება და სამ ენაზე (ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად) გამოვა გაზეთის ცხრა ნომერი (ოქტომბერ-ივნისი). მისი თითო ეგზემპლარი კვლავაც უსასყიდლოდ გავრცელდება საჯარო სკოლებსა და რესურსცენტრებში. რაც შეეხება კერძო სკოლებს, მათ „დილოგის“ მხოლოდ პირველი ნომერი მიეწოდება.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, გაზეთ „დილოგის“ გარდა მკითხველს, ასევე, სთავაზობს გაზეთს, სახელწოდებით – „დილოგი +“.

სიასლე! გაზეთ „დილოგის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

**2009-2010 სასწავლო წელს
გაზეთ „დილოგი“-ის ხელმოწერას და
გავრცელებას ახორციელებს
გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქცია**

2009-2010 სასწავლო წელს გამოვა „დილოგი +“ -ის 8 ნომერი (ნოემბერ-ივნისი). გაზეთის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე:

მიმღები შპს „ახალი განათლება“
მიმღები ბანკი სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი 220101956
ანგარიშის ნომერი 30236563

**გადმორიცხვის დროს, აუცილებელია, გარკვევით მიითითოს
ქალაქის, დაზის ან სოფლის დასახელება.**

სასურველია, ხელმოწერები განხორციელდეს 1 ნოემბრამდე, რათა ყველა ხელმოწერმა მიიღოს „დილოგი“-ის სრული კომპლექტი. „დილოგი +“-ის საცალო ღირებულებაა **1 ლარი**, კომპლექტის ანუ გამოწერის წლიური თანხა შეადგენს **8 ლარს**. გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს და ორგანიზაციებს.

გაზეთის გამოწერის პროცედურები:

- სკოლის დირექციამ ორგანიზება უნდა გაუწიოს გაზეთის გამოწერისთვის განაცხადებისა და თანხების მოგროვებას;
- სკოლის დირექციამ შეგროვებული თანხა უნდა ჩარიცხოს გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე. გადახდის ქვითარი და მოთხოვნების დოკუმენტი უნდა გადასცეს რესურსცენტრს;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა სკოლების მიერ წარმოდგენილი გადახდის ქვითრები და მოთხოვნების დოკუმენტები უნდა მიანოდოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციას;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა ჩაიბაროს გაზეთები გამავრცელებლისგან და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან (მიღება-ჩაბარების აქტები რესურსცენტრებს მიეწოდება გაზეთთან ერთად, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი პირი, არა უგვიანეს 2 კვირისა, უნდა დაბრუნდეს „ახალი განათლების“ რედაქციაში);
- საგანმანათლებლო რესურსცენტრმა უნდა მიანოდოს სკოლებს გაზეთები მოთხოვნის დოკუმენტში მითითებული რაოდენობით.

**გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციის მისამართი:
თბილისი, ტაბულაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890 958023;
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru**

**გაზეთის ხელმოწერის თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ
შემდეგ საბანკო ანგარიშზე:**

მიმღები შპს „ახალი განათლება“
მიმღები ბანკი სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი 220101956
ანგარიშის ნომერი 30236563

**ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია
საქართველოს ნაბისიშიანი ბანკიდან.**

პატივისცემით, „დილოგი +“-ის რედაქცია



C M Y K



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2009-2010 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილება (№149, 2009 წლის 14 აპრილი, ქ. თბილისი) მიხედვით

საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა დაფინანსებისათვის გამოყოფილია 1 073 000 ლარი. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ იმ სტუდენტმა, რომელიც 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ვერ მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ან ნაწილობრივი ოდენობა.

- ◆ 5 სტუდენტს, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები;
- ◆ 30 სტუდენტს, რომლებიც არიან ობლები (უდედმამო) ან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები;
- ◆ 6 სტუდენტს, რომლებიც არიან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

სოციალური პროგრამით გათვალისწინებული თანხა გადაეცემა შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს:

- ◆ 150 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონების შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მესტია, ლენტეხი, ონი, ქედა, ხულო, შუახევი, ყაზბეგი, დუშეთი – (ბარისახო, შატლი, ქვეშეთი, მლეთა, მალაროსკარი და გუდამაყარი), ადიგენი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, დმანისი, ახმეტა – (პანკისის ხეობა, ზემო და ქვემო ალვანი).
- ◆ 180 სტუდენტს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის მუნიციპალიტეტი, ცხინვალის რეგიონი – ქუთათა, ერედვი, ახალგორი და სოფელი პერევი), ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე მე-10 და მე-11 კლასებში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
- ◆ 30 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ◆ 30 სტუდენტს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ◆ 45 სტუდენტს, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;

ამ დადგენილებით განსაზღვრული პრინციპის შესაბამისად, ასევე დაფინანსდებიან:

- ◆ 2008 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული ის სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;
- ◆ 2009 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული ის სტუდენტები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

დაფინანსების მოსაპოვებლად მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (მის: ქ.თბილისი, უზნაძის №52).

განცხადებები მიიღება 2009 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით.

განცხადებებს იხილავს შესაბამისი კომისია.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 43 88 53 ან სამინისტროს ვებ-გვერდზე www.mes.gov.ge იხილეთ: საქართველოს მთავრობის დადგენილება № 149, 2009 წლის 14 აპრილი ქ. თბილისი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2009 წლის 07 სექტემბრის №736 ბრძანება

საქართველოს მშვიდობის კორპუსი

აცხადებს კონკურსს

საჯარო სკოლებისათვის კახეთის, ძველი ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებიდან ინგლისური ენის/განათლების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად

კონკურსში გამარჯვებულ სკოლებს საშუალება მიეცემათ, ითანამშრომლონ ამერიკელ მოხალისე მასწავლებლებთან 2010-2012 სასწავლო წლის განმავლობაში; ერთობლივი მუშაობის შედეგად აამაღლონ ინგლისური ენის სწავლების დონე და დაწერონ ახალი მეთოდოლოგია. მეცხრე წელია, განათლების პროგრამა წარმატებულად ხორციელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ამჯერადაც, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვინვეც მხოლოდ საქართველოს ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში არსებულ სკოლებს (თბილისის გარდა), რომლებშიც ინგლისური ისწავლება უცხო ენად კვირაში, მინიმუმ, 15 საათი.

თუ თქვენი სკოლა ეკუთვნის ზემოთ აღნიშნულ რეგიონს და დაინტერესებულია მოხალისესთან თანამშრომლობით 2010-2012 აკადემიურ წლებში:

- ◆ გაეცანით თანდართულ საინფორმაციო ბროშურას;
- ◆ სრულად შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე).

შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმა მოგვანოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე: ბურძგლას ქ. N 110 ბ, საირმის გორა, საბურთალო, თბილისი ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: asikharulidze@ge.peacecorps.gov

შესავსები მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მხარე შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა 2 ოქტომბერი, 2009 წელი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელს: ასმათ სიხარულიძე.
ტელ: (8 32) 24 12 24, ფაქსი: (8 32) 39 93 32, ელ-ფოსტა: asikharulidze@ge.peacecorps.gov

„შეიძინე შენთვის? – უყიდე მათაც“

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სენაკის ფილიალის თავმჯდომარის რომან ავალიანისა და წითელი ჯვრის ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარის მამუკა კუჭავას ინიციატივით, კავშირის ახალგაზრდა მოხალისეების – სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლების უფროსკლასელების ძალისხმევით, 15 სექტემბერს ჩატარდა საქველმოქმედო აქცია სლოგანით: „ერთად გამოვანყოთ ბავშვები სკოლისათვის“. აქციის მიზანი იყო ერთჯერადი ჰუმანიტარული დახმარების გაწევა პირველი კლასის დევნილი მოსწავლეებისათვის. ამ დღეს აფხაზეთის №7, თუკლათისა და ძველი სენაკის თემების და ქალაქის №1 საჯარო სკოლების პირველკლასელ დევნილ პატარებს საჩუქრად გადაეცათ საკანცელარო ნივთების კომპლექტები. ყველაფერი კი ასე დაიწყო: 11 და 12 სექტემბერს, ქალაქ სენაკის ბაზრობებსა და მარკეტებში, სასკოლო ნივთების შესაძენად მისულ მიღველებს სავაჭრო ობიექტების შესასვლელთან ხვედებოდნენ სპეციალურ ფორმებში გამოწყობილი მოხალისეები შემდეგი შინაარსის წარწერებით: „დავებმართო შეჭრებულ დევნილებს“, „გამოვანყოთ ისინი სკოლისათვის“, „შეიძინე შენთვის? – უყიდე მათაც“, „მათაც შენი შვილივით სწავლა უნდათ“, „სიკეთე არ იკარგება“ და სხვ.

სენაკის საზოგადოებამ, მშობლებმა, მოსწავლეებმა, რომლებმაც გაიღეს შესანიშნავი ამ კეთილი საქმისთვის, თავიანთი დიდსულოვნებითა და გულუხვობით სხვადასხვა სახის საჩუქრებულ ბავშვებს. წითელი ჯვრის ემბლემათი სათანადო მესიჯებით გაფორმებული ყუთები საჩუქრებით გაივსო. სწორედ ეს ნობათი გადაეცათ შემდგომ სკოლაში ახალგაზრდადევნილ პატარებს. წითელი ჯვრის სენაკელი მოხალისეების ეს ინიციატივა და სხვა კეთილშობილური ჩანაფიქრები თითოეული ჩვენგანის ფართო მხარდაჭერასა და თანადგომას იმსახურებს, რათა მსგავსმა მნიშვნელოვანმა პროექტებმა უფრო ფართო მასშტაბი მიიღოს და წარმატებულად განხორციელდეს.

ინტერვიუ

სამშვიდობო განათლების სტრატეგია გაძლიერებული რუსიფიკაციის ფონზე



ახალი სასწავლო წელი აფხაზეთიდან დევნილი 14 სკოლისთვის სიახლეებით დაიწყო, სეპარატისტების მიერ გალის რაიონის ზონებზე დატყვევებულ ქართულ საგანმანათლებლო სივრცისთვის კი კიდევ უფრო გამაძვირებლად – 31 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, ასობით პედაგოგს და ათასობით მოსწავლეს ქართული ენის სწავლება-სწავლა აკრძალა. რუსი ოკუპანტები კიდევ უფრო ამძვირებენ საზღვრის კვეთას იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც მოსაზღვრე ქართულ სოფლებში სურთ განათლების მიღება.

ამ საკითხებისა და ახალი ინიციატივების შესახებ, რომელსაც ახლად დანიშნული მინისტრი ახორციელებს გვესაუბრება აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დალი ხომერიკი.

– ქალბატონო დალი, სულ რამდენიმე თვეა, რაც აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნეთ, თუმცა ამ მოკლე დროის განმავლობაში უკვე შეიძლება ვისაუბროთ განხორციელებული და სამომავლოდ გასაკეთებელი – დაგეგმილი პროექტების შესახებ. ტრადიციულად, სასექტემბრო ინტერვიუს სწორედ ახალ სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული კითხვით დაიწყებდით, მაგრამ ამჯერად, უფრო მართებული იქნება, გკითხოთ, როგორ ხედავთ, რა ინიციატივებითა და სახსრებით მოვიდა ახალი მინისტრი?

– ჩვენი სასწავლო წელი, მოგეხსენებათ, ორ ნაწილად იყოფა, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე სწავლა 1 სექტემბერს იწყება, ხოლო ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ენგურს გამოიღა – 14 სექტემბერს. სასწავლო წლის დაწყების წინ ვმუშაობდით იმაზე, თუ როგორ წარმართავთ ჩვენს საქმიანობას, რა სტრატეგიასა და ხედვას გამოვიმუშავებთ სამომავლოდ. გარდა იმისა, რომ ჩართული ვართ რეფორმის პროცესებში, გვინდა, აფხაზეთის განათლების სამინისტროს ჰქონდეს მკვეთრად გამორჩეული მისია – მანდატი და ეს არის სამშვიდობო განათლება, ანუ სამშვიდობო აქტივობები, როგორც არის: ადამიანის უფლებები, ეკოლოგია, კონფლიქტოლოგია, ჯანსაღი ცხოვრების წესი – სპორტი, ხელოვნება მშვიდობისათვის, კულტურა მშვიდობისათვის. ჩვენ შევთავაზებთ სკოლებს სხვადასხვა სახის სამშვიდობო პროექტებს, რომელთა მიზანი სამშვიდობო ნდობის ამაღლება აფხაზეთთან, აფხაზეთის ახალგაზრდების სამშვიდობო იდეალებზე აღზრდა და ქვეყანაში სამშვიდობო განათლების კულტურის ჩამოყალიბება.

სიტყვა მშვიდობა, ფსიქოლოგიურად, მაგიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანებზე. ამიტომაც, ერთი მხრივ, ამ სამშვიდობო განათლებას აფხაზეთისკენ მივმართავთ, რათა გაიგონ, ჩვენი ახალგაზრდები იზრდებიან სამშვიდობო სტრატეგიით. პრაქტიკულად ეს მათკენ განვიღოთ ხელი. თუკი ჩვენ მოვახერხებთ და მოვიპოვებთ მათ ნდობას, იქნებ პარტნიორული პროგრამებიც ავაიმუშაოთ. მართალია, გაძლიერებული რუსიფიკაციისა და ოკუპაციური რეჟიმის პირობებში ბევრი ამას სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ ხელს არ ჩავიქნევთ და, შესაბამისად, ვეცდებით, ოკუპირებულ ზონაში გავააქტიუროთ ჩვენი სკოლები, რათა მათ მაინც შეძლონ ადგილობრივ სკოლებთან კონტაქტი და ჩანერგვა იმისა, რომ ქართველი ბავშვები აფხაზი თანატოლების მტრები არ არიან.

მეორე მიმართულება აფხაზე-

თის ახალგაზრდობის სამშვიდობო პრინციპებსა და იდეალებზე აღზრდა. ამ სამშვიდობო იდეალებზე – ცნებებზე არასამთავრობო სექტორი წლების განმავლობაში მუშაობდა (იგივე ტოლერანტობა, ადამიანის უფლებები და სხვ.). თუნდაც ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლება დევნილ ბავშვებს კიდევ მეტ საშუალებას მისცემს, საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანად იგრძნონ თავი. ხელს შეუწყობთ კონფერენციებში მათ მონაწილეობას, ანუ თანაბარ პირობებში ჩაეყენებთ როგორც საკუთარი ქვეყნის თანატოლებთან, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე.

სამშვიდობო განათლების პროექტის გასაცნობად, რასაკვირველია, შევხვდით გალის რაიონის პედაგოგებსაც, ისინი ამ ინიციატივას დიდი მონონობით შეხვდნენ. წელს გალეი პედაგოგები მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი, თუკი არ აიღებდნენ აფხაზურ პასპორტებს, სკოლაში არ დაუშვებდნენ, საბედნიეროდ, დანაპირები არ შესრულდა და მათ მუშაობის გაგრძელების საშუალება მიეცათ. თუმცა, ბუნებრივია, უსიამოვნო შემთხვევებისაგან ასეთ მკაცრ პირობებში დაზღვეულები ვერ ვიქნებით. ხშირად აქვს ადგილი ადამიანის უფლებების უხემ დარღვევებს.

ქვედა ზონაში მოქცეულია 11 სკოლა, სადაც სეპარატისტების პოლიტიკა შედარებით ლოიალურია – ქართულად სწავლება ფარულად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, 2009 წლის 13 აგვისტოს, გალის რაიონის ქვედა ზონის სოფელ სიდის ქართულ საშუალო სკოლაში ადამიანის უფლებების უხემ დარღვევის შემთხვევა დაფიქსირდა – დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლეს სკოლის დირექტორი, ადმინისტრაციის ორი თანამშრომელი და რიგითი პედაგოგი.

გათავისუფლების მიზეზი სიდის სკოლაში ჩატარებული ქართული ღონისძიება გახდა, რომლის ამსახველი ვიდეომასალა ხელში ჩაუვარდა აფხაზურ ადმინისტრაციას. ბუნებრივია, ქართულ ღონისძიებაზე ბავშვები ქართველი პოეტების ლექსებს კითხულობდნენ და ქართულ სიმღერებს ასრულებდნენ, თუმცა იმავე ფირზე აღბეჭდილი იყო აფხაზურ ენაზე ჩატარებული ღონისძიებაც, რომელიც შეგნებულად ამოიჭრა, რომ საბაბი, თითქოს, სკოლაში მხოლოდ ქართულ ენაზე ტარდება ღონისძიებები, უფრო განმტკიცებულიყო. აფხაზეთის განათლების მესვეურთა განცხადებით, სიდის სკოლაში მომხდარი ფაქტი საჩვენებელი მაგალითი უნდა იყოს დანარჩენი სკოლებისათვის.

– თქვენ ასხენეთ ქვედა ზონის სკოლებში სეპარატისტების მიერ განხორციელებული „ლოიალური“ პოლიტიკა, რომელიც სამაგალითო სადამსჯელო ღონისძიებებით გამოირჩევა...

– ორიოდე სიტყვით მინდა განვმარტო, თუ რას ნიშნავს ზედა და ქვედა ზონის სკოლები. სეპარატისტული რეჟიმის მიერ საზღვრების ხელოვნური გადაწვევა განხორციელდა და გალის რაიონი სამ ნაწილად დაიყო: ზედა, ქვედა და ტყვარჩელის ზონებად. 1994 წლიდან დღემდე, გალის რაიონის საზღვრებში 31 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა აღდგენილი. აღდგენისთანავე, სეპარატისტულმა რეჟიმმა რუსიფიკაციური პოლიტიკის მიზანმიმართული განხორციელება დაიწყო. განსაკუთრებით წარმატებით ეს პოლიტიკა ტყვარჩელს მიუთვრებულ და გალის ზედა ზონის სკოლებში ხორციელდება. აგვისტოს ომის შემდეგ ტყვარჩელის „განათლების განყოფილებაში“ სახელფასო უწყისიდან ქართული ენისა და ლიტერატურის 26 მასწავლებლის გვარი ამოშალა. ამ ზონის სკოლებში მოქმედი სასწავლო გეგმების მიხედვით ქართული რიგითი ენის სტატუსიც კი აღარ მიაკუთვნეს, საერთოდ ამოღებულია სწავლებიდან. ოჩამჩირეს მიკუთვნებულ არიგვარას საშუალო სკოლაშიც ანალოგიური მდგომარეობაა. ვითარება იმანაც გაართულა, რომ რუსი მშვიდობისდამცველების მიერ მრავალჯერ გაიძარცვა და განაანადგა სასწავლო დაწესებულებები, მათ მიერ გაძარცვულ გალის №2 სკოლას ცარიელი კედლებილია შემორჩა, გალის №1 და ჭუბურხინჯის №1 სკოლების შენობებში კი სამხედრო შტაბები გახსნეს.

რუსიფიკაციური პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი წარმატებული შედეგია გალის რაიონის მასწავლებლების პროფესიულ დახელოვნებაზე „ზრუნვა“ და სკოლის მატერიალური ბაზის გაუმჯობესება.

გალის რაიონის ნამდვილი საზღვრების სკოლებში მასწავლებელთა კონტინგენტი, ძირითადად, ქართულენოვანია. წლების განმავლობაში ისინი ცდილობენ, ქართული გაკვეთილები ჩაატარონ და ქართული სულისკვეთებით აღზარდონ გალეი მოსწავლეები. ახლა მათ მიმართ რეჟიმი კიდევ უფრო გამკაცრდა და პირდაპირ უბრძანებენ, რომ გაკვეთილები რუსულად ჩაატარონ. საგანთა ჩამონათვალში კი შესულია: რუსეთის ისტორია (ავტორი ა.ა. დანილოვი), რუსეთის ფიზიკური გეოგრაფია (ავტორი ო.ვ. კსალოვი), რუსეთის ეკონომიკური გეოგრაფია (ავტორი ა.ი. ალექსეისი) და სხვ. ქართველ ბავშვებს იაკობისეული „დედა ენის“ ნაცვლად, „აზბუკას“ ანდვინ, აკრძალულ საგნებში შედის საქართველოს ისტორია და გეოგრაფია.

წელს ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა საზღვრის გადაკვეთა გახდა. დაშინებისა და ზენოლის ქვეშ მყოფი ბავშვები კილომეტრებს მარტო გადიან, რათა ქართულ სკოლებში ისწავლონ.

გალის რაიონის ზედა ზონის სოფლებში – საბერიოსა და ლეკუხონაში ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ვითარება ძალიან დაიძაბა. ეს სოფლები წალენჯიხის რაიონის სოფლებს – წყუოშსა და ფახულანს ესაზღვრება. მოსაზღვრე ზოლის მოსახლეობა თანაბარი მანძილითაა დაშორებული როგორც საბერიოსა და ლეკუხონას, ისე წალენჯიხის სოფლებს. გალის რაიონის ზედა ზონის სოფლებში, სადაც დაუშვებელია ქართულ ენაზე სწავლება და მშობლიურ ქართულს, რიგითი ენის სტატუსით, საკმაოდ შემცირებულ დროში ასწავლიან, ადგილობრივი მოსახლეობა შეიღებს სასწავლებელად მოსაზღვრე წალენჯიხის სოფლებში აგზავნის. წყუოშსა და ფახულანის საჯარო სკოლებში დღეისათვის დაახლოებით 60-მდე მოსწავლე ირიცხება საბერიოსა და ლეკუხონის სკოლებიდან. სწორედ ამ მოსწავლეებს შეექმნათ სირთულეები



„პარათონი მშვიდობისათვის“

საზღვრის გადაკვეთის გამო, რადგანაც ოკუპანტებმა ბავშვებს აუკრძალეს საქართველოში, კერძოდ, წაღწევის სწავლა. „თუ აფხაზეთში ცხოვრობთ, აფხაზეთის სკოლებში უნდა ისწავლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახებით გადაგასახლოვებთ აფხაზეთიდან“, – ასე ემუქრებოდა ქართველ ბავშვებს. ამ დღეებში ოთხმხრივი შეხვედრა გაიმართა, სადაც სწორედ ამ ბავშვების ბედზე იმსჯელებს.

ბავშვებს თვითგადარჩენის საოცარი უნარი აქვთ გამოიყენებულა. რუსი სამხედროები მათ ჩანთებს უჩხრეკენ ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი გაჩხრეკის დროს, თურმე, ქართველ პატარას ჩანთაში ქართული ნიგნი უპოვეს და მკაცრად მოსთხოვეს პასუხი, რატომ ედო ჩანთაში ეს ნიგნი. იცით, რა უპასუხა ქართველმა ბავშვმა? არც კი ვიცი, ნიგნი რა ენაზეა დანერილი, მხოლოდ ნახატები მომეწონა და ამის გამო ვატარებო. ასე არიან მოტივირებული ბავშვებიც და მასწავლებლებიც, ფარულად, მაგრამ მაინც ქართულად ისწავლიან. პედაგოგების ასეთი მონდომება მართლაც დასაფასებელია, მათ დაფინანსებას, ხელფასების სახით, ისევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მარტულდებს. ეს მხარდაჭერა მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ გვირგვინის ფასად ნასწავლი ქართულის ფასი, ალბათ, განუზომელია.

– წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თუ დარეგისტრირდნენ აბიტურიენტები გალის რაიონიდან?

– მიუხედავად იმისა, რომ გაძლიერებული სასაზღვრო კონტროლი სამიშროებს უქმნის არა მხოლოდ აღნიშნული სკოლის მოსწავლეებს, არამედ, საერთოდ, ქართველ ახალგაზრდებს, წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გადულმა აბიტურიენტებმა კარგი შედეგები აჩვენეს. 261 ჩარიცხული დევნილი აბიტურიენტიდან 91 ოკუპირებული ზონიდანაა. წელს ოკუპირებული ტერიტორიის სტუდენტებზე კვოტები გაიზარდა – ნაცვლად 70-ისა, 100 სტუდენტი დაფინანსდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ აფხაზეთის სკოლების კურსდამთავრებულებს ატესტატები მშობლიურ ენად რუსული უნერიათ და არა აფხაზური. სამაგიეროდ, მათ ძალიან ბევრი ლიმიტი აქვთ რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებიდან, სადაც უგამოცდოდ ირიცხებიან. ჩვენდა საბედნიეროდ, არც ერთი ქართველი აბიტურიენტი ამის მსურველი არ არის უხვი შეთავაზების მიუხედავად. გალის რაიონის თითქმის ყველა სკოლადამთავრებული ენგურს აქვთ მოდის სწავლის გასაგრძელებლად.

აფხაზური ატესტატის აღება ახალგაზრდებს მანამ არ შეუძლიათ, სანამ აფხაზურ პასპორტს არ აიღებენ. იგივე მოთხოვნა ვრცელდება პედაგოგებსა და ტექნიკურ მუშაკებზე. პასპორტის ასაღებად მრავალი დოკუმენტის მოგროვებაა საჭირო, რაც თანხასთან, დაახლოებით 100 დოლართანაა, დაკავშირებული. ნიშანდობლივია ისიც, რომ პასპორტის აღების დაძალებასთან ერთად მოსახლეობას აიძულებენ ანკეტაში ხელმოწერით მიუთითონ: „ნებაყოფლობით უარს ვაცხადებ საქართველოს მოქალაქეობაზე“.

ვაჟების მიერ პასპორტის აღება ავტომატურად უკავშირდება აფხაზურ ჯარში განწევას. იყო შემთხვევები, როცა კურსდამთავრებული ვაჟები სამხედრო სამსახურში პირდაპირ გამოსაშვები გამოცდიდან გაიწვიეს. სწორედ ამიტომ, ქართველი ახალგაზრდები, ხშირად სიცოცხლის რისკის ფასადაც კი, სკოლის დამთავრებისთანავე ცდილობენ საზღვრის აქვთ გადმოსვლას.

– როგორ დაიწყო ახალი სასწავლო წელი ენგურს გამოღმა სკოლებში?

– რაც შეეხება დევნილთა სკოლებს, ჩვენს კონტროლირებად ტე-



„აფხაზეთის ახალგაზრდობა მშვიდობისათვის“

რიტორიაზე 14 საჯარო სკოლაა. წელს სენაკში განთავსებულ საჯარო სკოლას, „იაკობ გოგებაშვილის“ პროექტის ფარგლებში, სრული რეაბილიტაცია ჩატარდა. სკოლის შენობა მდებარეობს სამხედრო დასახლებაში, სადაც 2000-მდე დევნილი ცხოვრობდა. 14 სექტემბერს სწორედ აქ მივიღეთ. ეს სკოლა ინტეგრაციის საუკეთესო მოდელია – 120-მდე დევნილი და 180-მდე ადგილობრივი მოსწავლე სწავლობს.

წელს, აფხაზეთის ფოთის საჯარო სკოლას საკუთრებაში გადამოეცა შენობა, რომელიც მომავალში გარემონტდება და იქაც ერთად ისწავლიან დევნილი და ადგილობრივი ბავშვები. აქვე გეყვით, რომ ჩემი სურვილია, ხმარებიდან ამოვიღო „დევნილი ბავშვები“ და ისინი მოვიხსენიო, როგორც ახალგაზრდობა აფხაზეთიდან ან მოსწავლეები აფხაზეთიდან. დევნილებად მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვიხსენიებ, როცა მათ სტატუსზე პოლიტიკურ კონტექსტში დამჭირდება საუბარი.

ბუნებრივია, ისევე როგორც გალის პედაგოგებს, შევხვდით აფხაზეთის სკოლების პედაგოგებსაც. მათაც აიტაცეს სამშვიდობო განათლების სტარტეგია და ყველა სკოლა გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობას. პრაქტიკულად, სამშვიდობო განათლების დანერგვით, არაფორმალური სექტორის ინიციატივებს სახელმწიფო სტატუსი მიეცემა. ჩვენი თანამშრომლები ახლა კიდევ უფრო გაღრმავდება, სამშვიდობო განათლება მხოლოდ აფხაზეთს არ ეკუთვნის, მით უფრო როცა გვაქვს სამაჩაბლოს პრობლემა, გეყვას ეთნიკური უმცირესობები. ამდენად, ეს თემები ყველასთვის მნიშვნელოვანია. ამიტომაც, სამშვიდობო განათლების ლობირებით ხელს შევუწყობთ სამშვიდობო კულტურის ჩამოყალიბებას ჩვენს ქვეყანაში.

– არიან თუ არა აფხაზეთის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული სკოლების პედაგოგები ჩართულნი მასწავლებელთა ატესტაციის პროცესში?

– ბუნებრივია, ჩვენი პედაგოგები ამ პროცესში ჩაერთვენენ. ჯერჯერობით გვაქვს 200 ვაუჩერი, რომელიც 20 ნოემბრამდე დარიგდება. პედაგოგები დარეგისტრირდებიან და პროვადერებს თავად აირჩევენ, ამ პროცესებში ჩვენ არ ვერთვებით. მოგეხსენებათ, აკრედიტებულ პროგრამებზე თავად აკეთებენ აქცენტებს და ირჩევენ. ჩვეულებრივ, წლის ბოლომდე გაივლიან არჩეულ პროგრამებს უნარებსა და საგნებში. ჩვენი პედაგოგების უმრავლესობა მზადაა, წელსვე ჩაერთოს ამ პროცესებში, რაც, ბუნებრივია, მისასალმებელია. გარდა ამისა, დავინწყეთ კონფლიქტის ზონის პედაგოგების რეგისტრაცია. ატესტაციის გავლის მსურველ პედაგოგებს საშუალება ექნებათ,

ატესტაციისათვის ზუგდიდში მოემზადონ.

– სამშვიდობო განათლების პროექტის ფარგლებში რა ღონისძიებები განხორციელდა და რა იგეგმება სამომავლოდ?

– სამშვიდობო აქციები 6 სექტემბერს დაიწყო სპორტული მართონით მშვიდობისათვის. მართონში 8-დან 16 წლამდე აფხაზეთიდან დევნილი 400-მდე ახალგაზრდა ჩაერთო. მათ შორის იყვნენ აფხაზეთის სპორტული და აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები, ასევე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი ბავშვები. მართონის მიზანი დევნილ ახალგაზრდებში სამშვიდობო განათლების პოპულარიზაცია იყო. ამ ღონისძიებით მოზარდები სპორტის სამშვიდობო მისიასა და ცხოვრების ჯანსაღ წესს ეზიარენ. მასში შოუ ბიზნესის წარმომადგენლები და საზოგადოებისათვის ცნობილი სახეებიც ჩაერთვნენ. „მართონმა მშვიდობისათვის“ მასშტაბური სახე მიიღო.

„ირაოს“ სტადიონზე გაიმართა ჩვენ მიერ ორგანიზებული ფეხბურთის ლია ჩემპიონატი – ფინალური შეხვედრა „მშვიდობის თასზე“. ორი დღის განმავლობაში ასპარეზობდნენ ახალგაზრდების სამოყვარულო და სპორტსკოლების საფეხბურთო გუნდები: 5 – აფხაზეთის, 1 – კოდორის ხეობის და 2 – სამაჩაბლოს, სულ 80-მდე (10-11 წლის) მოზარდი. პარალელურად, ამავე დღეს, სამშვიდობო მეგობრული საფეხბურთო მატჩები ჩატარდა ოკუპირებული გალის რაიონის ათამდე სკოლის გუნდებს შორის. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები სპორტული ფორმებით, თასებით და მედლებით დაჯილდოვდნენ.

ეს აქციები ახალგაზრდების სამშვიდობო პრინციპებზე აღზრდას

ემსახურება. გვინდა აფხაზური მხარისა და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მივიპყროთ, რათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფ ბავშვებს უსაფრთხოების, მშობლიურ ენაზე სწავლისა და მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა მიეცეთ.

21 სექტემბერს, მშვიდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, სამშვიდობო გაკეთილი-სემინარი ჩატარდა აფხაზეთის მეორე საჯარო სკოლაში. სემინარის შემდეგ, სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად გავემართეთ თავისუფლების მოედნისკენ, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წინ გაიმართა მასშტაბური აქცია – „აფხაზეთის ახალგაზრდობა მშვიდობისათვის“. 200-ზე მეტი მოსწავლე ჩაება 30-მეტრიან ცოცხალ ჯაჭვში. ეს აქცია განასახიერებდა მრავალეროვან და მრავალფეროვან საქართველოს, რომელიც მშვიდობის მსოფლიო ტალღას უერთდება. მოსწავლეებსა და გამვლელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სამშვიდობო სურვილები დაეტოვებინათ სპეციალურ ბარათებზე, რომლებიც განაცხადებით სამშვიდობო ნატურის ხე აუწყო.

ასეთივე მასშტაბური სამშვიდობო აქციები მოეწყო აფხაზეთის საჯარო სკოლებისა და საზოგადოების მონაწილეობით ზუგდიდში – მსვლელობა ენგურის ხიდისკენ და ქუთაისიში – სიმბოლური ქალაქის გეგმების აქციით მდინარე რიონზე. ეს არასრული ჩამონათვალია იმ აქტივობებისა, რომელიც სამშვიდობო განათლების ფარგლებში განხორციელდა.

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს იგეგმება ღონისძიება, რომელშიც აფხაზეთის მოსწავლეებთან ერთად ჩართული იქნებიან თბილისის და საქართველოს სხვა

სკოლებიც, რადგან ეს საერთო ტიკვილი და პრობლემაა. ლოზუნგი „გახსოვდით აფხაზეთი“ გვინდა შევცვალოთ ლოზუნგით: „იცნობდეთ აფხაზეთი“. ჩვენი სურვილია, აფხაზეთი საერთო ცნობიერების ნაწილი იყოს და არა – კონკრეტულად დევნილი მოსახლეობის. აქვე გეტყვი, რომ წელს გადაცემა „ეტალონი“ სწორედ ამ თემით გაიხსნება და პირველი გადაცემა აფხაზეთს მიეძღვნება.

გარდა ამისა, იგეგმება გამოფენები, საღამოები; აფხაზეთის დღეები იმერეთში, რომლის ფარგლებში ქუთაისისა და წყალტუბოში სოხუმის აკადემიური თეატრისა და მონაწილეობით თეატრის გასტროლები გაიმართება; ასევე აფხაზეთის მხატვრების გამოფენები, შემოქმედებითი საღამოები, კონცერტები და სხვ. 2 ოქტომბერს, არქივის შენობაში, იუსტიციის სამინისტროს არქივის მასალების – მეცხრამეტე საუკუნის აფხაზეთი და ომისშემდგომი დროინდელი აფხაზეთი – გამოფენა გაიხსნება; კონსერვატორიაში – აფხაზური კაპელის დებიუტი. 10 ოქტომბერს აფხაზეთის დღეები, ფართო მასშტაბით, თბილისში გადმოინაცვლებს, 20 ოქტომბერს მის აფხაზეთსაც ავირჩევთ; მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით დიდ ღონისძიებას ვგეგმავთ, დაავაჯილდოვებთ საუკეთესო მასწავლებლებს, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიიდან.

სამომავლოდ ვგეგმავთ რთულ და ფუნდამენტურ მიმართულებას – განათლების მართვა კრიზისულ (კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ) სიტუაციებში. ამ მიმართულებით გვინდა აფხაზეთის განათლების სამინისტრო დაიგროვოს ცოდნა, რადგან, შეიძლება ითქვას, ეს სრულიად ახალი სფეროა. მიმდინარეობს მუშაობა დონორებთან. თუკი შევძლებთ ამის განხორციელებას, აფხაზეთის განათლების სამინისტროს მკვეთრად გამორჩეული მანდატი ექნება: ერთი მხრივ – რეფორმებზე მუშაობა, მეორე მხრივ – სამშვიდობო პროგრამების განხორციელება, მესამე – რესურსების მობილიზება და ინსტიტუციების განვითარება განათლების მართვის კუთხით. პრაქტიკულად, ეს განათლების სისტემის რეაბილიტაციაა კონფლიქტში და კონფლიქტის შემდგომ.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ სამშვიდობო განათლების ფარგლებში განხორციელებული ყველა აქცია საქართველოში სამშვიდობო კულტურის პოპულარიზაციასა და სამშვიდობო იდეალებზე ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურება.

ესაუბრა
ლალი ჯვალაძე



აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა – მშვიდობის გაკეთილი-სემინარი

„ანთიმოზობა“ – ახალი საერო-საეკლესიო დღესასწაული

26 ივნისს, სამცხეში, ადიგენის რაიონის სოფელ უდელში ჩატარდა წმიდა ანთიმ ივერიელის ხსენების დღე – „ანთიმოზობა“. აღსანიშნავია, რომ წლებგანდელი ღონისძიება უკვე მესამეა, რადგან პირველად სოფელ უდელში „ანთიმოზობა“ 2005 წლის 26 ივნისს გაიმართა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

ამ ათიოდე წლის წინ გავიციანი საქართველოში რუმინეთის პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი **კონსტანტინე გირბეა**, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და გულისხმიერებით გამოირჩეოდა. შევთავაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას შეუწყობდა ხელს. მართლაც, ერთობლივი ძალისხმევით, 2000 წლის აპრილში დაფუძნდა რუმინეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება. საზოგადოების დაფუძნებაში მონაწილეობდნენ ქართული საზოგადოებრიობის ცნობილი წარმომადგენლები, აკადემიკოსები: **თამაზ გამყრელიძე, ჯუმბერ ლომინაძე და მარიამ ლორთქიფანიძე**; პროფესორები: **რევაზ მიშველაძე, ნიკა სააკაშვილი, გიორგი ცომბია, ნუგზარ სისარულიძე, შალვა ნაჭყვიაძე, ზაზა გაჩეჩილაძე**; მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სესილი გოგობერიძე**; მხატვრული ფილმის „ანთიმოზ ივერიელი“ რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი **გიული ჭოხონელიძე**; სასულიერო აკადემიის რექტორი **მეუფე აბრაამი**; ბუქარესტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი **გიორგი რუხაძე**; რუმინეთის მხრიდან დაფუძნებაში მონაწილეობდნენ ელჩი, ბატონი **კონსტანტინე გირბეა** და კონსული, ბატონი **მარიუს კოსტინი**.

დამფუძნებელ კრებას მე, როგორც ინიციატორმა, შევთავაზე ახალი საზოგადოებისთვის მიგვენიჭებინა ქართული წარმოშობის დიდი რუმინელი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწის, მხატვრის, მოქანდაკის, არქიტექტორის, მთარგმნელის, პოეტის, ორატორის, ფილოსოფოსის, მესტამბის, რუმინული სალიტერატურო და საეკლესიო ენის რეფორმატორის, მართლმადიდებლურ საქრისტიანოში გვიანდელი რენესანსის ფუძემდებლის, რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ანთი (ანთიმოზ) ივერიელის სახელი.

დაფუძნების დღიდან საზოგადოება საკმაოდ აქტიურად შეუდგა საქმიანობას. აღვნიშნავ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს: ჩვენი ინიციატივით და შეთავაზებით, 2000 წლის 26-დან 29 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოსა და რუმინეთში, ფართოდ აღინიშნა წმიდა ანთიმ ივერიელის იუბილე – დაბადებიდან 350 წლისთავი (ვინაიდან ანთიმ ივერიელის დაბადების თარიღი მხოლოდ სავარაუდოდ განისაზღვრება 1650-დან 1660 წლამდე ინტერვალში, საზოგადოებამ დააყენა საკითხი, პრობლითად 1650 წელი აგველო დაბადების წლად). საქართველოში საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად რუმინეთიდან ჩამოვიდნენ: ბუქარესტის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **იონ პანზარუ** და აკადემიკოსი **ელენე ბოდეა**. ამავე დღეებში, საზოგადოების თაოსნობით, თბილისის 166-ე საჯარო სკოლას საზეიმო ვითარებაში მიენიჭა წმიდა ანთიმ ივერიელის სახელი. იმ დღიდან რუმინეთის საელჩომ და ჩვენმა საზოგადოებამ ეს სკოლა განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ აიყვანა. აღსანიშნავია, რომ 2002 წლის 25 აპრილის მინისძვრის დროს სკოლის შენობა ძლიერ დაზიანდა. საზოგადოების შუამდგომლობით და ელჩის, ბატონ კ. გირბეას ძალისხმევით, რუმინეთის მთავრობამ 200 000 ლარის ფინანსური დახმარება აღმოუჩინა სკოლას აღდგენით სამუშაოთა ჩასატარებლად. სკოლას, აგრეთვე, გადაეცა პერსონალური კომპიუტერები და ჰუმანიტარული დახმარება. სხვადასხვა დროს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, 166-ე სკოლას სტუმრობდნენ: რუმინეთის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო მდივანი, რუმინეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რუმინეთის პრინცი, პარლამენტის წევრები და სხვა საპატიო სტუმრები.

საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა უმაღლესი დონის სამთავრობო ვიზიტების მომზადებასა და ჩატარებაში. 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტის რუმინეთში ვიზიტის დროს მე, როგორც საზოგადოების თავმჯდომარე, ჩართული ვიყავი დელეგაციის შემადგენლობაში; ხოლო 2002 წელს, რუმინეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის დროს, ერთ-ერთ ოფიციალურ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას დავაყენე საკითხი წმ. ანთიმ ივერიელის სახელობის ერფუძნების შესახებ. ერთსულეოვანი მოწონების მიუხედავად, ქართული მხარის პასიურობის გამო, ამ იდეას მაშინ შედეგი არ მოყოლია. 2004 წელს, რუმინეთში პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** ვიზიტის დროს, რუმინეთის მაშინდელ პრემიერ-მინისტრთან, **ადრინ ნასტასესთან** ამ საკითხზე მოხდა შეთანხმება. თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე ამ მიმართებით მანინც არაფერი გაკეთებულა.

2005 წლის დასაწყისში ჩვენი საზოგადოების ოფისში მოვიდა სოფელ უდის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის



ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი **ტიმოთე (ჩილაშვილი)**, რომელმაც გვამცნო, რომ მის მრევლში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ცნობა, თითქოს ანთიმოზ ივერიელი წარმოშობით სწორედ სოფელ უდიდან არის. გვარად ყოფილა ხურციძე, ანუ მესხ თავადათა საგვარეულოს მიეკუთვნებოდა და, სავარაუდოდ, თურქთა ერთ-ერთი შემოსევის დროს გაუტაციათ. ჩვენ ფრიად საყურადღებოდ ჩავთვალეთ ეს ინფორმაცია, ვინაიდან, მანამდე, თუნდაც ასევე ზეპირად შემონახული, რაიმე ცნობაც კი წმ. ანთიმ ივერიელის კონკრეტული დასახლებული პუნქტის მკვიდრად მოხსენიების თაობაზე არ გავიგია. მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ცნობილი იყო გამოჩენილი ქართველი პოეტის და საზოგადო მოღვაწის, გიორგი ლეონიძის მოსაზრება, რომელიც მან 1951 წელს ჟურნალ „დროშის“ №2-ში გამოაქვეყნა: „*მისი (ანთიმოზ ივერიელის) მოტაცების ხანა ემთხვევა შაჰნავაზის (ვახტანგ V) და არჩილის მეფობის პირველ წლებს. მაშინ აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით მშვიდობიანობა იყო, არავითარი ომები და თავდასხმები იმხანად არ ყოფილა. სულ სხვა იყო სამცხე-საათაბაგო, რომელიც უსაშინელო ანთიმოზის განიცდიდა ოსმალოთაგან. ამიტომ შესაძლოა ანთიმოზ უფრო მესხეთიდან იყო წარმოშობით და იქიდანვე მოტაცებული*“.

შემდგომ შეხვედრებზე მამა ტიმოთეს მივანოდე ასეთი იდეა: რაკი დღესდღეობით საქართველოში არც ერთი ქალაქი თუ სოფელი არ აცხადებს პრეტენზიას წმიდა ანთიმ ივერიელის წარმომავლობაზე, მიგველო ხსენებული ვერსია სავარაუდოდ, საკმაოდ დიდი ალბათობით (თუმცა არა მეცნიერულად დადასტურებულ ფაქტად) და შეგვეთავაზებინა სოფელ უდის და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობისათვის ახალი სახალხო-საეკლესიო დღესასწაულის – „ანთიმოზობის“ დანერგვა. მხოლოდ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის თანხმობის შემდეგ კი მიგვემართა საქართველოს საპატრიარქოსათვის ლოცვა-კურთხევის და რეგიონული და რაიონული ხელისუფლებისა და რუმინეთის საელჩოსათვის ამ წამოწყების თაობაზე მხარდაჭერის მისაღებად. მამა ტიმოთე თავიდანვე დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა ამ იდეის ხორცშესხმას. რასაკვირველია, იყო ბევრი სიძნელე, სკეპტიციზმი როგორც მრევლის ერთ ნაწილში, ასევე თვით ჩვენი საზოგადოების წევრთა შორის და რუმინეთის ელჩის მხრიდანაც კი, რომელსაც არ სჯეროდა, რომ შევძლებდით მართლაც მასობრივი დღესასწაულის ტრადიციის დამკვიდრებას. თუმცა, დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის** და ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლი-

ტის, **მეუფე თეოდორეს** ლოცვა-კურთხევით და თანადგომით, რეგიონის გუბერნატორის, რაიონისა და სოფლის საკრებულოების და გამგებლების მხარდაჭერითა და მოსახლეობის გულმხურვალე მონდომებით, „ანთიმოზობა“ დაფუძნდა, მართლაც რომ, საერო-საეკლესიო ყოველწლიური დღესასწაულის სახით. რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ ტარდება სახელდობრ 26 ივნისს – ანთიმ ივერიელი რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა 1992 წლის 27 სექტემბერს. ამასთან, ეს თარიღი დაანესეს რუმინეთში მისი მოხსენიების დღედ, რაც დაკავშირებულია 1716 წლის 27 სექტემბერს ანთიმ ივერიელის მონაწილეობით აღსრულებასთან. ჩვენმა წმიდა სინოდმა, კანონიზება გაუკეთა რა წმინდანად შერაცხვის აქტს, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში წმიდა ანთიმოზ ივერიელის მოხსენიების დღედ 26 ივნისი დაანესა, როდესაც ჩვენ რუმინეთის ელჩთან, ბატონ კ. გირბეასთან ერთად ვეახვით მის უწმინდესობას „ანთიმოზობის“ დღესასწაულის დანერგვისათვის თანხმობისა და ლოცვა-კურთხევის მისაღებად, ვთხოვეთ, ნება დაერთო, თარიღად 27 სექტემბერი აგვეჩრია, მაგრამ პატრიარქმა ბრძანა, რომ იგი ერთპიროვნულად წმიდა სინოდის გადაწყვეტილებას ვერ შეცვლიდა.

ასე დაფუძნდა ახალი დღესასწაული, ანთიმოზობა და პირველად ჩატარდა 2005 წელს მეუფე თეოდორეს, ქვემო სვანეთის და ლეჩხუმის ეპისკოპოსის, **მეუფე სტეფანეს (კალაიჯიშვილი)**, რეგიონში არსებული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების წინამძღვრების, რუმინეთის ელჩის, თბილისის წმიდა ანთიმ ივერიელის სახელობის 166-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციის, ჩვენი საზოგადოების გამგეობის წევრთა, ადიგენისა და უდის გამგებლების და მართლმადიდებელი მრევლის მონაწილეობით. მომდევნო წლებში კი ამ ღონისძიებამ ჭეშმარიტად სახალხო-საეკლესიო დღესასწაულის ხასიათი მიიღო, ვინაიდან ამ დღეს არა მარტო წირვა-ლოცვა აღველინება წმიდა ანთიმ ივერიელის სახელობაზე, არამედ ტარდება საზეიმო კონცერტები როგორც ადგილობრივი სკოლების მოსწავლეთა და პედაგოგთა, ასევე ახალციხიდან თუ თბილისიდან სპეციალურად ჩასულ პროფესიონალ ხელოვანთა ძალებით. იმართება სახალხო სეირნობა, დაბოლოს, როგორც წესი, ყველაფერი მთავრდება საზეიმო ტრაპეზით. უდა აღინიშნოს, რომ სოფელ უდიდან 5-6 კილომეტრში, თურქეთთან საზღვრის სიახლოვეს მდებარეობს ხალხის მიერ სასწაულმოქმედად შერაცხული ბუზმარეთის ეკლესია, რომელიც სავარაუდოდ, VI-VII საუკუნეშია აგებული.

მის გარშემო, ულამაზეს ადგილას, ტყეში მიმდინარეობს წმიდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა. როგორც წესი, „ანთიმოზობის“ პროგრამაში ამ ეკლესიაში საზეიმო პარაკლისის გამართვა შედის, მაგრამ წელს ძლიერი წვიმის გამო ვერ მოხერხდა იქამდე მისვლა.

ორიოდე სიტყვით შევჩერდები წლებგანდელ „ანთიმოზობაზე“, რომელშიც მონაწილეობა ათასამდე სტუმარ-მასპინძელმა მიიღო. ჩემი თხოვნით, თბილისიდან წამობრძანდნენ: მეგობარი ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი **მერის ლაურენსი** და ჩვენი სახელოვანი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ბატონი **რევაზ მიშველაძე**. ბათუმიდან საგანგებოდ ჩამოვიდა, იქ მივლინებაში მყოფი, რუმინეთის ამჟამინდელი ელჩი საქართველოში, დოქტორი **დან მიჩაი ბარლიბა**.

საზეიმო კონცერტზე განსაკუთრებით გავკავარეს უდელმა პატარებმა – უდის №1 და წმიდა ანთიმ ივერიელის სახელობის უდის №2 საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

ჩემი წერილის მეორე ნაწილში მინდა მხოლოდ რამდენიმე მოკლე ცნობა მივანოდე მკითხველს თვით წმიდა ანთიმ ივერიელის შესახებ. როგორც ირვეყვა, ახალგაზრდობაში ანთიმ ივერიელს, თავისი დროის კვალობაზე, ღრმა და საფუძვლიანი განათლება მიუღია და სრულიად საქართველოც ჰქონია შემოვლილი. იგი კარგად გაცნობია სხვადასხვა კუთხის ხურთომილდურულ ქმნილებებს, ამაზე მეტყველებს რუმინელი მკვლევარების – **კონსტანტინესკუ-იამის, იონ ნანუს** და სხვათა მოსაზრებები, რომ ანთიმ ივერიელმა რუმინულ ტაძართა რესტავრაციის თუ ახალთა მშენებლობის დროს გამოიყენა ბეთანიის, ნიკორწმინდის, იზნანის და მცხეთის მონასტრების დეკორატიული ფორმები და ორნამენტები.

უცნობია, თუ როგორ მოხვდა ახალგაზრდა ანთიმოზი ტყვეობაში. ზოგიერთი ცნობით, ტყვეობიდან იგი იერუსალიმის **პატრიარქმა დოსითეოსმა** გამოისყიდა. საპატრიარქოში ყოფნის პერიოდი მან თავის განათლების და ოსტატობის სრულყოფას მოახმარა. უკვე სახელგანთქმული მხატვარი, გრავირების ოსტატი და კალიგრაფოსი, დაახლოებით 1689-1690 წლებში, ვლახეთის (დღევანდელი რუმინეთის ცენტრალური ნაწილი) დიდი მთავრის, **კონსტანტინე ბრინკოვიანუს** მინვევით ვლახეთს გაემგზავრა. მინვევის მიზეზი კი უნდა ყოფილიყო ბრინკოვიანუსა და ბერძნული საპატრიარქოს შეთანხმება ვლახეთში დაეფუძნებინათ სტამბა, სადაც შესაძლებელი გახდებოდა საპატრიარქოსათვის ბერძნულ ენაზე წიგნების ბეჭდვა, რადგან კონსტანტინოპოლში, ჯერ კიდევ 1633 წელს, თურქებმა გაანადგურეს ბერძნული სტამბა.

რამდენიმე მოსაზრება კედელოვის პროფესიაზე

ვლახეთში ჩასვლის შემდეგ ანთიმ ივერიელმა სასტამბო საქმე, იმდროისათვის, უმაღლეს დონეზე აიყვანა და დაარსა 4 სტამბა, სადაც ნიგნები იბეჭდებოდა სხვადასხვა ენაზე: ბერძნულად, რუმინულად, ძველსლავურად, თურქულად და არაბულად. ამ ენებს თავად უკვე ბრწყინვალედ ფლობდა. ისე რომ, სამშობლოდან მონყვეტილი ქართველის წყალობით „ვლახეთი გადაიქცა ცენტრად, რომელიც მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთის ნიგნებით კვებავდა“ (მ. როლიერი).

გარდა აღნიშნულისა, ანთიმ ივერიელის ძალიან მკვიდრი, პირველი ქართული ეროვნული სტამბა დაარსდა თბილისში, ხოლო პირველი არაბული სტამბა – სირიაში, ქალაქ ჰალაბში. 26 წლის მანძილზე, მისი უშუალო მონაწილეობით თუ მეთვალყურეობით, ვლახეთში დაიბეჭდა 75 დასახელების ნიგნი. მათგან 4 ნიგნი თვით ანთიმ ივერიელის მიერაა დაწერილი, 10 ნიგნს დაურთო ნინასიტყვაობა, 5 ნიგნისათვის შეთხზა ლექსები, 6 თარგმნა ბერძნულიდან. ეს ნიგნები მინაარსით სულ სხვადასხვა ხასიათისა იყო. სკოლის საქორებისთვის იბეჭდებოდა ნიგნები მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ისტორიაში, ლიტერატურაში, ბუნებისმეტყველებაში, ფილოსოფიაში; ეკლესიისათვის – საღვთისმეტყველო. ხალხს რომ დაინტერესება და სიყვარული გასჩენოდა ნიგნის კითხვისას, ანთიმ ივერიელმა თარგმნა და დაიბეჭდა ფანტასტიკური ჟანრის რომანი ალექსანდრე მაკედონელის შესახებ – „ალექსანდრია“ და სხვ.

ცხადია, რუმინული საეკლესიო და სალიტერატურო ენის განვითარებას დიდი სტიმული მისცა ამ ენაზე ნიგნების ბეჭდვამ. ანთიმ ივერიელი ვლახეთში ჩასვლიდან 5-6 წლის შემდეგ ისე სრულყოფილად დაეუფლა რუმინულ ენას, რომ „სახარების“ და სხვა სალიტურგო ნიგნების ბერძნულიდან თარგმნის თუ რუმინულ ენაზე ორიგინალური ნაწარმოებების შექმნის პროცესში მან შეძლო, დაეზღვირა რუმინული ენა ყოველგვარი დამახინჯებისაგან, გაენმინდა უცხო სიტყვების და გამოთქმებისაგან, დაეხლოებინა სალაპარაკო, ხალხური ენისათვის და გასაგები გაეხადა მოსახლეობისათვის. ამით მან რუმინული ენის ერთ-ერთი უდიდესი რეფორმატორის სახელი დაიმკვიდრა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ანთიმ ივერიელი სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურას ბეჭდავდა არა მარტო რუმინულ ენაზე, არამედ ბერძნულ, ძველსლავურ, თურქულ და არაბულ ენებზე და ავრცელებდა მეზობელ ქვეყნებში, პრაქტიკულად, მთელ მართლმადიდებლურ საქრისტიანოში, სადაც იმ დროს სხვა ნაბეჭდი პროდუქცია ხელმისაწვდომი არ იყო. ამით მან თავისი დროის უდიდესი საერთაშორისო განმანათლებლის სახელი დაიმკვიდრა.

ანთიმ ივერიელი, როგორც უბადლო ხუროთმოძღვარი და არქიტექტორი, დიდ აღმშენებლობით მოღვაწეობას ეწეოდა; როგორც ბრწყინვალე ფერმწერი, მოქანდაკე, გრაფიკოსი თუ ხეზეჭრის ოსტატი – მხატვრულ-შემოქმედებით მოღვაწეობას. 1708 წლიდან, როდესაც ვლახეთის უმაღლეს სასულიერო პირად – მიტროპოლიტად აირჩიეს, 1716 წლამდე, მისი უშუალო მონაწილეობით აგებული ან აღდგენილი, მოხატული და მოჩუქურთმებული იყო ოცზე მეტი ეკლესია-მონასტერი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყოველთა წმიდათა მონასტერი“, რომელიც აღიარებულია „ეპოქის ყველაზე ღირსშესანიშნავ ძეგლად“ და ხალხი, სიყვარულით, დღესაც „ანთიმის მონასტერს“ უწოდებს.

ანთიმ ივერიელი, მიუხედავად სასულიერო წოდებისა, უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეც იყო. მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში მთავარი იყო ბრძოლა ვლახეთის გასათავისუფლებლად უცხოელ დამპყრობელთაგან. სწორედ ეს გახდა მიზეზი 1716 წლის 27 სექტემბერს მისი მონაშებრივად აღსრულებისა, როდესაც თურქმა დამპყრობლებმა განსაკუთრებული სისასტიკით დასაჯეს სიკვდილით.

წმიდა ანთიმ ივერიელმა დატოვა უდიდესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. მისი ქადაგებანი თუ ფილოსოფიური ტრაქტატები დღესაც რუმინელი მეცნიერების შესწავლის საგანია. მომავლის საქმეა მათი თარგმნა და გამოცემა სხვა ენებზე, უპირველეს ყოვლისა კი – ქართულ ენაზე.

ერთი რუმინელი ისტორიკოსის სიტყვებით: „რამდენჯერაც დახედავს მზე რუმინეთის მიწას, იმდენჯერ რუმინელი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენებს ანთიმ ივერიელს, რომელმაც დასდო საძირკველის ქვა რუმინეთის ეროვნული კულტურის ბალავარში და უკანასკნელ ამოსუთქვამდე იბრძოდა მისი თავისუფლებისათვის“.

ალბათ, ძნელი იქნება უფრო ლამაზად და ღირსეულად შეაფასო ამ დიდი პიროვნების მონაშებრივი ცხოვრება და ღვაწლი.

თიიმურაზ რუსაძე

წმ. ანთიმ ივერიელის რუმინეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე

ამბობენ, რომ ყველაფერი სკოლით იწყება, სკოლა კი იწყება მასწავლებლით. მასწავლებელი... საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირს უწოდებენ მას. აღსაზრდელების თვალში მასწავლებელი ყოველთვის უნდა იყოს პატიოსნების განსახიერება, მისაბაძი მაგალითი. იგი მთელი სიცოცხლე იღვწის იმათთვის, ვისაც ეკუთვნის მომავალი. სუბომლინსკის სიტყვები „გულს ბავშვებს ვუძღვნი“ – მარტო მეტაფორა როდია, მათში ჩაქსოვილია მასწავლებლის პროფესიის, მისი მოწოდების მარადიული ჭეშმარიტება. სკოლის პროგრამებისაგან განსხვავებით იგი უცვლელი რჩება ყველა თაობისათვის. განათლების სფერო ის დარგია, რომელიც ეფუძნება შეურყენელ და უზადო პატიოსნებას. თუ მოსწავლეს ან მის მშობლებს ეჭვი შეეპარება თუნდაც ერთი პედაგოგის პატიოსნებაში, ასობით პატიოსანი მასწავლებელი ვეღარ უშველის ნამხდარ საქმეს. ნებისმიერი ჩვენი შეცდომა მოწაფის სულს დაღად დააჩნდება. ამიტომაც, მასწავლებლის პრესტიჟი, უწინარესად, თავად მასწავლებლების საზრუნავია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ატესტაციას ყოველწამს და ყოველ წუთს გავვივართ ჩვენი აღსაზრდელებისა და მათი მშობლების თვალწინ.

ვერასდროს გავხდებით „ადამიანის ხასიათის მძერწავები“, თუ ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი არ იქნა, თუ შეეურყვინებოდა უძრავობას, ერთი ადგილის ტყუპნას, ობივაციულობას. როცა მასწავლებელში კვდება აღმზრდელი, მისი ადგილი სკოლაში აღარ არის.

ვასწავლი რუსულ ენასა და ლიტერატურას, საგანს, რომელსაც განათლებისა და აღზრდის საერთო სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

ლიტერატურის მასწავლებელი თავის აღსაზრდელებს ზნეობრივი და სულიერი მონივრობის საფუძვრებზე მიუძღვება და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ უნათებს მათ ჭეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზის გზას. ეს გზა კი მოსწავლეებს სამახსოვრო, ამაღლებულ შეხვედრებს უმზადებს. გაკვეთილზე მასწავლებელთან ერთად განცდილი, გრძობითი აქტიური სიტყვა მოსწავლის გონებისა და გულის ნაწილი ხდება.

როგორ მივალნით, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებში ჩაქსოვილი უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული ღირებულებები? როგორ მივალნით იმას, რომ ბრიუსოვის „ცოდნის უძილო წყურვილი“ და ჰუმბოლის „მტანჯველი სულიერი წყურვილი“ ბავშვებისათვის უბრალო ქრესტომათიული ფრაზა კი არ იყოს, არამედ სულიერ მოთხოვნილებად იქცეს?

ფიქრობ, მწერლის სიტყვა მოსწავლეს ისე უნდა მიაწოდოს, რომ მისმა გულმა და გონებამ გაითავისოს. ეს კი ხელენიფება იმ მასწავლებელს, რომელსაც ბოლომდე აქვს გაცნობიერებული, რომ იდეოლოგის, „აზრების მეუფის“ როლი ეკისრება, რომელსაც ძალუქს პირადი დამოკიდებულებით, თავისი გზებითა და შემოქმედებითი წვთით გააბიძგოს თავისივე წარმოქმნილი სიტყვები. მაშინ კი გაკვეთილზე მოვა „ღვთაებაც და შთაგონებაც, სიცოცხლესაც, ცრემლებსაც და სიყვარულსაც“.

მეორე – ეს არის მემკვიდრეობითობა წამყვანი იდეური და ზნეობრივი პრობლემების დაყენებაში. რა არის მისი არსი? ნიჟადაც უნდა ვუბრუნდებოდეთ ისეთ აქტუალურ ცნებებს, როგორცაა: ჰუმანიზმი, მოქალაქეობრიობა, მიზანსწრაფულობა, სიკეთე და სამართლიანობა და მუდამ კონკრეტული შინაარსით ვავსებდეთ.

რა არის ცხოვრება, რა ადგილი უნდა ეკავოს მზისქვეშეთში, როგორია ადამიანის ღირსების შეფასების კრიტერიუმები – აი, ის საკითხები, რომლებიც მასწავლებელსაც და მოსწავლესაც აინტერესებთ.

ასეთი კითხვები ხშირად გაკვეთილ-დისკუსიად გადაიქცევა ხოლმე, რომელსაც ვიღაცამ „აზრების პოლიგონი“ უწოდა, როცა მოსწავლეს საშუალება ეძლევა, არა მარტო ჰქონდეს „თავისი“ მოსაზრება, არამედ განსაზღვროს კიდევ ცხოვრებისეული პოზიცია, გააკეთოს არჩევანი ბრძოლასა და უმოქმედობას შორის, აქტიურობასა და გულგრილობას შორის.

განათლებლასა და აღზრდაში, რაც შეიძლება მეტ ფეფექტიანობას რომ მივალნით, მუდამ ვიშველიებ ფაქტებს რეალური სიმდევრიდან, გაკვეთილს ვრცელი პუბლიცისტური მასალით ვაზავებ. მაგალითად, როცა გორკის რომანტიკულ ნაწარმოებებს გავდიოდით, განვიხილეთ შოთა ნიშნაიანის ლექსი „ბალადა პროფესორ ფორდანიანზე“, რომელმაც ავიკატასტროფის დროს თავისი მამული ჟილეტი პატარა უბილეთო მგზავრს დაუთმო; საუბარი გვექონდა რამაზ დათიაშვილზე, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა ლიტველ გოგონას; რაპი მამედოვზე, რომელიც ქართული სოფლის მცხოვრებთა წყალდიდობისგან გადარჩენის დროს დაიღუპა; შავარძ კარაპეტიაზე, რომელმაც 22 კაცი გამოიყვანა წყალში ჩაძირული ტროლეიბუსიდან. ასე ეხმარება გაკვეთილზე ლიტერატურა ცხოვრებას. არის ჩემი ლიტერატურის კაბინეტი ნიგნი, რომელიც არსად არ გამოცემულა, ჩვენ მას „სიმამაცის ქრესტომათია“ ვუწოდებთ. მასში თავმოყრილია „სიმამაცის, ვაჟკაცობის, გმირობის“ ამსახველი პრესაში გამოქვეყნებული მასალები.

საერთოდ ვცდილობ, ფაქტები საქართველოს ცხოვრებიდან მოვიყვანო, ვილაპარაკო იმაზე, რაც უფრო ახლობელი და გასაგებია ბავშვებისათვის. წერილი სამუშაოებისთვისაც კი ისეთ ტექსტებს ვარჩევ, რომლებიც საქართველოს წარსულსა და აწმყოს, მის ხალხს, კულტურას, ტრადიციებს ხეხება. მხოლოდ სათაურებს ჩამოვთვლი: „თბილისი – მზისა და ვარდების ქვეყანა“, „ჩვენი ლადო“ (მეცნიერ სტაროსელსკიზე, რომელმაც ქართული ვაზი გადაარჩინა), „დათო კრანაშვილის ვარსკვლავი“, „ქართული სახელები მოსკოვის რუკაზე“, „მეგობრობის ესტაფეტა“ და სხვ.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვუთმობ მხარეთმცოდნეობას, რომელიც დღემდე სუსტი რგოლია სკოლის მუშაობაში. არაბი, თვალმომეტაც ივერიაზე აღფრთოვანებით წერს ყველა, ვისაც თუნდაც ერთხელ დაუდგამს ფეხი ჩვენს მიწაზე. 1981 წლის კურსდამთავრებულებმა, სწავლის ბოლო წელს, მიმოიწერა გააბეს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრებთან, სობოვდენის, მათთვის გაეზიარებინათ საქართველოში სტუმრობისას მიღებული შთაბეჭდილებები. იმდენად ვრცელი მასალა დაგროვდა, რომ კაბინეტმა ლიტერატურა ვეღარ დაიტოვა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სალონშიც დაიკავა ადგილი. აქ ეწყობა ფაკულტატიური მეცადინეობა, პოეზიის საღამოები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, მწერლებთან, მთარგმნელებთან, თბილისის საპატიო მოქალაქეებთან.

სალონის ფონდებში დაცულია შოლოხოვისა და აითმატოვის, ევტუშენკოსა და ი. აბაშიძის, როფდესტენსკისა და კ. კალაძის, ახმადულინასა და მ. ქვლივიძის, დორიზოსა და ს. კაპუტიკიანის, პრილეჟაევასა და ვოსკრესენსკაიას, ე. ნიჟარაძისა და მუსტაჟა კარიმის მიერ სკოლისათვის საჩუქრად გადაცემული ნიგნები ავტოგრაფებით... გვაქვს რუსთაველის უკვდავი პოეტის იაკუბურ ენაზე თარგმანიც კი. სათუთად ვინახავ მ. შაგინიანის, ი. არაშენცევის, ს. კუნაევის, ვ. ლეონოვიჩის, ე. ნიკოლაევსკაიას, მ. დუდინის წერილებსაც.

იმავე 1981 წელს საფუძველი ჩაეყარა სკოლის ტრადიციას – სექტემბრის ბოლო კვირას თბილისთან შესახვედრად მივიქართო, იწყება ეთნოგრაფიული მუზეუმიდან, მარშრუტები მრავალფეროვანია. მივამიჯვებთ მშობლიური ქალაქის ვინო ქუჩებში, რომელთაც თითოეული ისტორიის კუთვნილებაა. შეგახსენებთ მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატის, მარინა კუდიმოვას სიტყვებს: „ძვირფასო ბავშვებო, თქვენ გხვდით ბედნიერება, ცხოვრობდით არაჩვეულებრივ ქალაქში, არაჩვეულებრივი ადამიანების გვერდით. ამით არ უნდა იყოყნოთ, მაგრამ აუცილებელია გახსოვდეთ, რათა უფრო გიყვარდეთ“.

სამშობლოს სიყვარული კი იწყება საკუთარი სახლის, იმ ქუჩის სიყვარულით, სადაც გაიზარდე, იმ სკოლის სიყვარულით, სადაც სწავლობდი. დედ-მამა ბავშვებისათვის სამშობლოს მთავარი წარმომადგენლები არიან. მათ უნდა აზიარონ შვილები მშობ-

ლიურ ენას, მშობლიურ ბუნებას, თავისი ერის ტრადიციებს.

ჩემი მშობლები, ბავშვობაში დაობლებული, იძულებული იყვნენ ემუშავათ, ოჯახი რომ ერჩინათ. მაგრამ მათში იყო ცოდნის დაუძლეველი წყურვილი. „ისწავლე შვილო, გიყვარდეს ნიგნი. ამაზე ძვირფასი ქვეყნად რა არის?“ – მასწავლიდა დედა. დედამ და მამამ ჩამიბერგეს სწორედ, რომ ცხოვრება შრომაა. ნიგნი ჩვენი ოჯახის მეექვსე წევრი იყო, ყველაზე გონიერი, ყველაზე სამართლიანი, ყველაზე მჭევრმეტყველი. ხშირად ოჯახში ვანყობდით კითხვას ქართულ და რუსულ ენებზე და, როგორც პაუსტოვსკი ამბობს: „ვეებერთელა სამყარო, წარმტაცი და მრავალფეროვანი შემოიჭრებოდა ხოლმე ჩვენს ოთახში საყვარელი ნიგნების ფურცლებიდან“.

მამინ არ მესმოდა, რომ ჩემი აღზრდა მშობლებმა შინაური პედაგოგიკით დაიწყეს, მასწავლიდნენ თანაგრძობას, ჩემში აღვიძებდნენ მკითხველის ნიჭს, მშვენიერების დანახვის უნარს, სურვილს იმისა, რომ ეს მშვენიერება ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ყოფილიყო. ამ გრძობებით აღვსილი შევედი სკოლაში, შემდეგ ისინტეზტში და კვლავ სკოლას დავუბრუნდი, მაგრამ – უკვე მასწავლებლად. აი, უკვე ორმოცი წელია, ჩემს მოწაფეებს ჩავავარდნი, რომ სკოლა, უწინარეს ყოვლისა, არის ნიგნი.

ჩემს საოჯახო ბიბლიოთეკაში არის ერთი ნიგნი „საქართველოს პედაგოგიური აზრის ანთოლოგია“. მკითხველისადმი მიმართვაში აქ წერია: „ეს ნიგნი უიშვიათეს შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, გონების თვალთ გადაავლოს და ჩანდეს ქართველი ხალხის პედაგოგიური აზრის თანამიმდევრულად გადმოცემული ისტორიის, რომელიც ოდითგან ეთავაზრებოდა ცოდნით ბოძებულ სინათლესა და ადამიანის დაუცხრომელი სულის ძღვენისათვის“. ხშირად ვადავიკითხავ ხოლმე, რადგან ისევე მასაზრდოებს, როგორც გვა ანიჭებდა ძალას ანტოლს, გზას მიკვალავს აზრების უიდეგავო ოკეანეში, მიმსუბუქებს პრობლემების დაძლევისას.

ლიტერატურის კაბინეტის კედლებს ამშვენებს იაკოვ გოგებაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, უშინსკისა და მაკარენკოს პორტრეტები, ფილოსოფიური აზრით დატვირთული უნიკალური ძეგლის – „ცოდნის ზარის“ ფოტოსურათი. ჩემი მოწაფეები ყოველდღე შედიან კაბინეტში და კითხულობენ დიდი განმანათლებლის სიტყვებს: „ერი გამდიდრებულა ცოდნითა, ამაღლებულა ზნეობით“. მის სახელმძღვანელოს „დედა ენას“ ვაცნობ პირველივე გაკვეთილზე, რომელზეც ჩემი ღრმა რწმუნებით, უნდა ჟღერდეს ენის ქება-დიდება. გაკვეთილს რუსული ენის ხობითი კი არ ვინყებ, არამედ ქართული ენის სადღედელო ჰიმნით, რადგან, თუ მშობლიური ენა არ იცი, ვერ შეისწავლი სხვა ხალხის ენას.

რა თქმა უნდა, სიძნელებიც ბევრი შემხვედრია ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში. მეც მყავდა ძნელადღასაზრდელო მოსწავლეები, მეც მქონდა შემთხვევები, როცა ვერ ვამყარებდი კონტაქტს ბავშვთან ან ინტუიციით ვგრძობდი, ჩემი პედაგოგიური პოზიციის უმწეობას, მაგრამ ეს არ წყვეტს საქმეს. მთავარია, არ დასჯერდე მიღწეულს, თვითკრიტიკულად აფასებდე საკუთარ საქმიანობას, შეგნევედეს შენი ხარვეზების დანახვის უნარი და შეგეძლოს მათი დროზე გამოსწორება.

ბავშვის გულის მონადირება მხოლოდ წრფელი და სათუთი მოპყრობით, ფაქიზი დამოკიდებულებით შეიძლება. ბედს ვუმადლო, რომ ჩემი საქმიანობით შემიძლია სიკეთე მოვუტანო ადამიანებს. ბედნიერი ადამიანი ვარ, თუმცა საკუთარი შეილები არ მყავს. ჩემთვის ხომ ყოველი დილა იწყება სიტყვებით: „გამარჯობათ ბავშვებო, გამარჯობათ, ჩემო ძვირფასებო!“ ღმერთს ვთხოვ, ჩემი მოწაფეების მესხიერებაში ნათელი და წმინდა ყოფილიყოს მოგონებები სკოლაზე, საყვარელ მასწავლებელზე. ჰქონოდეთ მისი საქმის გაგრძელების სურვილი.

ცილა გუშჩიანი

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

პროფესიული მომზადება დასაქმებისათვის ცუდი შესრულება კარგ აზრსაც გააცულებს

ერთი წელი არ გასულა მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროფესიული განათლების რეფორმა, რეორგანიზაცია-ოპტიმიზაცია განახორციელა, ამას წინ უძღოდა კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ გამოქვეყნება. არც კანონპროექტის მომზადებისას და არც ოპტიმიზაციის პერიოდში არ იქნა მიღებული ყოფილი სპეციალისტების მოსაზრებანი, პირადად მე თვითონ შევიტანე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სასწავლებლის განსახელმწიფოებრიობის საკითხი კანონპროექტში შესატანად, რაც კონკურენტუნარიანს გახდოდა სახელობო მომზადებას. მიუხედავად ჩვენი (ყოფილი სისტემის მუშაკები) მცდელობისა, თითქმის არც ერთი წინადადება არ იქნა გათვალისწინებული, შედეგამაც არ დააკონკრეს.

ამჟამად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განსახილველად გამოიტანა „სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგია 2009-2012 წლები“, სადაც სახელობო განათლებისა და მომზადების სისტემის დღევანდელ გამოწვევებში ვრცელი სიაა პრობლემებისა, რომელთა მოგვარების გზად მიჩნეულია აღნიშნული სტრატეგია. უკეთესი იქნებოდა, რომ თავის დროზე გამოცდილ სპეციალისტთა აზრი გათვალისწინებინათ, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა პრობლემათა რიცხვს, მაგრამ მთავარია, რომ პრობლემების დიდი ნაწილი დანახულია, რაკი დანახულია, მაშასადამე გზაც გამოინახება.

საქართველოს ორიენტაცია ლიბერალურ ღირებულებებზე აუცილებელს ხდის რომ სახელობო განათლების სისტემის მართვა დაეყრდნოს სოციალური პარტნიორ-

ბის პრინციპს. სახელობო განათლებაში პარტნიორებად გვევლინებიან: სახელმწიფო, მენარმედამსაქმებელი, პროფესიული კავშირები და საზოგადოებრივი სექტორი.

თუ სახელმწიფოს როლს იმით განვსაზღვრავთ, რომ ჯერ კიდევ 2007 წელს იქნა მიღებული კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, ხოლო ამ დღეებში გამოტანილია განსახილველად „სახელობო განათლებისა და მომზადების განვითარების შუალედური სტრატეგია 2009-2012 წლები“ და მათ დაეუმატებთ მთავრობის განკარგულებაში, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ სახელმწიფოს ეს სისტემა უყურადღებოდ აქვს მიტოვებული. საკმაოდ აქტიური იყო როგორც კანონპროექტის, ასევე ზემოთ მოხსენებული სტრატეგიის განხილვაში საქართველოს პროფესიული კავშირებიც, საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მუშაკთა და სტუდენტთა კავშირი, რასაც ვერ ვიტყვით საზოგადოებრივ სექტორზე, მიუხედავად იმისა, რომ სახელობო განათლება ყველა ოჯახს ეხება. მართო ის ფაქტი, რომ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 15-20% აგრძელებს სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო დარჩენილი 85-80%-სთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელობო განათლება, მათ რიცხვს თუ დაეუმატებთ რამდენ ადამიანს ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება ან შეცვლა, ასევე იმ ადამიანებს, ვინც თვლის, რომ უმაღლესი პროფესიული განათლების მიღებამდე უკეთესი იქნება, თუ სახელობო განათლებას მიიღებს (ცნობილია, რომ ინჟინერი, რომელმაც სახელობო განათლება მიიღო, ბევრად უფრო წარმატებულია, ვიდრე ის, ვინც სახელობო განათლებას არ დაეუფლა ინჟინრობამდე), ასევე, მათ რიცხვს თუ დაეუმატებთ იმ ადამიანებსაც, ვისაც უმაღლესი განათლების სახელობო განათლებით შეცვლა სჭირდებათ, გარკვეული მიზეზების გამო, დავინახავთ, თუ რა დონის საყოველთაო პრობლემასთან გვაქვს საქმე.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის „ევროკავშირი საქართველოს“ სამოქმედო გეგმის მიხედვით, განათლების სისტემის მოდერნიზება გულისხმობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების შესაძლებლობებს, სახელობო განათლების შრომის ბაზართან ადაპტირებას. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში სოციალურ პარტნიორებს შორის თუ სახელმწიფოსა და პროფკავშირების აქტიურობას ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებლად ჩავთვლით. იმავე ვერ ვიტყვით საზოგადოებრივ სექტორზე – დაბალია საზოგადოების რეაგირება სახელობო განათლების გამომწვევებზე, ნაკლებად შეუქმნება სახელობო სწავლების პრობლემები მედიასაშუალებებით.

სოციალურ პარტნიორთა შორის, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი როლი ენიჭება დამსაქმებელ-მენარმეს. შრომის ბაზარი და ტექნოლოგიური განვითარების ტემპები, პროფესიული სტანდარტების სწრაფად ცვლადობის პირობებში, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულისაგან მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, რათა სწრაფად აულოს ალლო ტექნოლოგიურ სიახლეებს.

სახელობო განათლებას ყველაზე მეტად სჭირდება დამსაქმებელი მენარმე, რადგან სწორედ ის არის დამკვეთი სახელობო განათლებისა, მან უნდა ჩაიბაროს მომზადებული სპეციალისტი, მაგრამ ნუ დავგავ-

ინყვდება, რომ ის, პირველ რიგში, მენარმეა. რთულად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ ბევრი მოთხოვნაა დამსაქმებლის მისამართით, სანაცვლოდ კი რას ვპირდებათ? მომზადებულ სპეციალისტს? მან არ იცის, მისთვის კი ისეთ სპეციალისტს განათლების სისტემა, როგორც მას სჭირდება? წარმოუდგენელია პროფესიული სტანდარტი მენარმე დამსაქმებლის გარეშე, წარმოუდგენელია პროფესიონალი ჩამონათვალი მენარმის გარეშე, ყალბია სახელობო სასწავლებლის კურსდამთავრებულის სერტიფიცირება მომხმარებლის, დამსაქმებელი მენარმის მონაწილეობის გარეშე. მათ მართლაც დიდი როლი აკისრიათ ყველა იმ პრობლემის გადაწყვეტაში რასაც სახელობო მომზადება ჰქვია.

მზად არის თუ არა მენარმე ასეთი სერიოზული ამოცანების გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად? ეს ხომ დროსა და მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. მიმაჩნია, რომ დღეს ჯერ კიდევ არ არის ამისთვის მზად. ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ 15-ოდე წელს ითვლის. მენარმის უპირველესი მიზანია, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს, ამიტომ მან მეტი პროდუქცია უნდა აწარმოოს. მეტი პროდუქცია რომ აწარმოოს, სჭირდება კარგი მუშა სპეციალისტი, რაც, ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დეფიციტია, ამიტომ მოჰყავს საზღვარგარეთიდან (ჩამოყვანა კი საკმაოდ ძვირი უჯდება), ამიტომ იძულებული არიან, იზრუნონ ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პროცესის დაჩქარებისათვის, ჩემი აზრით, საკმაოდ ჭკვიანური განკარგულება გამოსცა საქართველოს მთავრობამ 2008 წლის 12 მარტს (№113 განკარგულების სახით) – სახელობო სასწავლებლის

მეპატრონეები გამხდარიყვნენ მენარმეები. ამით მთავრობა სთავაზობს მენარმეებს, დაცივან თავიანთი ინტერესები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო მატერიალური ბაზის შექმნაში, სტანდარტების განსაზღვრაში, კურსდამთავრებულთა სერტიფიცირებაში, მათ დასაქმებაში. ყოველივე ეს დაჩქარებს მათ დარგობრივ ასოციაციებში გაერთიანებასაც და სახელობო განათლებაში კონკურენტურობას უზრუნველყოფს.

სამწუხაროდ, საკმაოდ ჭკვიანურდება პროფესიული სასწავლებლების განკერძოების პროცესი, რითაც არსებული პროფსასწავლებლების მატერიალური და ადამიანური რესურსები ნადგურდება. საყოველთაო ის ფაქტიც, რომ არსებულ სამთავრობო განკარგულებაში შეტანილი ცვლილებები თუ არ აუარესებს სახელობო განათლების განვითარების პერსპექტივას, სასიკეთოს არაფერს ჰმადგობს.

ვფიქრობ, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ასევე ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სასწრაფოდ უნდა დაუზრუნდნენ საქართველოს მთავრობის №113 განკარგულების პირველ ვარიანტს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელობო სასწავლებლების შენობებში მივიღებთ უმაღლეს სასწავლებლებს ან ზოგადსაგანმანათლებლო კერძო სკოლებს და მთავრობის ეს საკმაოდ ჭკვიანური განკარგულება, რომელსაც კერძო სახელობო სასწავლებლების რიცხვი უნდა გაეზარდა, მოეზიდა სახელობო განათლებაში მენარმეები, შეტანილი ცვლილებებისა და ცუდი განხორციელების პირობებში შეიძლება მთავრობის დისკრედიტაციის საბაბად იქცეს.

ჯუშუბერი გაბრიელაშვილი

რეპორტი

ქახეთში 27 საჯარო სკოლა გარემონტდა

ქახეთის რეგიონში, ახალი სასწავლო წლისთვის, 27 საჯარო სკოლა გარემონტდა. ძირითადად, გამოიცვალა კარ-ფანჯრები და სახურავები – თელავში ერთადერთი სკოლა იყო დარჩენილი, რომელსაც სარემონტო სამუშაოები დიდი ხნის მანძილზე არ ჩატარებია, ახლა კი სკოლის სრული რეაბილიტაცია მოხდა.

გუბერნატორის განცხადებით ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანში, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოსა და ახმეტის რაიონის ერთ-ერთ სოფელში სკოლის სრული რეაბილიტაცია იგეგმება.

ოთხმოსწავლიანი სკოლა

სასწავლო პროცესი გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერმის საჯარო სკოლაშიც განახლდა. როგორც სკოლის დირექტორმა, **თამაზ აბესაძემ** კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, პირველ კლასში მხოლოდ ერთი მოსწავლე, **ლიკა გაბაბაძე** ჩაირიცხა.

ჭერმის საჯარო სკოლაში სულ 4 ბავშვი სწავლობს. აქედან 2 – პირველ-მეორე კომპლექტკლასში, ერთი მოსწავლე – მე-8 კლასში და ერთი გოგონა – მე-11 კლასში.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლას 8 მასწავლებელი ემსახურება. სკოლაში კომპიუტერიც აქვთ, მაგთი ფიქსის ტელეფონის აპარატის მეშვეობით ინტერნეტიც, თუმცა სკოლა, ისევე როგორც სოფელი ჭერემი, 16 წელია, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

პრობლემების მოგვარებას ჭერემელებს არაერთხელ დაჰპირდნენ, ძირითადად წინასაარჩევნოდ, მაგრამ უშედეგოდ. სოფელში მდგარი 100-ზე მეტი საცხოვრებელი სახლიდან, 90 მიტოვებულია.

სოფელი ჭერემი მე-5 საუკუნის მე-2 ნახევარში მეფე ვახტანგ გორგასალმა დააარსა, რის შემდეგაც ტახტის მემკვიდრეს, დაჩის უბოძა. ამავე პერიოდში დაარსდა ჭერემის საეპისკოპოსო ეპარქია და ჭერემი კახეთის პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრად იქცა. 1984 წელს არქეოლოგიურმა ექსპედი-

ციამ ჭერემში ვახტანგ გორგასლის სასახლის კომპლექსის ნანგრევები აღმოაჩინა, რომელიც ისტორიკოსების შეფასებით, უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ძეგლია. ჭერემში დღემდეა შემორჩენილი მე-5 საუკუნის სხვა ძეგლებიც.

სახელმწიფო დანებსებულებებიდან სოფელ ჭერემს ამ დრომდე მხოლოდ სკოლა შემორჩა.

სიღნაღის რაიონის სოფელ ერისიმედის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი დროულად განახლდა. დაგეგმილი იყო ახალი შენობის აშენება, რადგან სკოლა საბავშვო ბაღის ტიპურ შენობაშია განთავსებული და საკლასო ოთახები სტანდარტულზე გაცილებით მცირე ზომისაა. ობიექტური მიზეზების გამო, მშენებლობა მომავალი წლისთვის გადაიდო, თუმცა, როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, **თემურ ბალარჯიშვილმა** გვაცნობა, მიმდინარე სასწავლო წლისთვის 3000 ლარზე მეტი ოდენობის სამუშაოები ჩატარდა. კერძოდ, შეკეთდა შენობის ჭერი, იატაკი, გარემონტდა სპორტული მოედანი, რომელსაც ახალი ინვენტარიც გადაეცა. შეიღესა და შეიღება კედლები.

სოფელი ერისიმედი 1989 წელს დაარსდა და იქ აჭარადან, ხულოს რაიონიდან ჩასახლებული ეკომიგრანტები ცხოვრობენ.

პირველკლასელებს პრეზიდენტის საჩუქრები დაბვინაებით მიიღეს

ქახეთის რეგიონში პირველკლასელებმა პრეზიდენტის საჩუქრები დაგვიანებით მიიღეს. ქალაქ თელავის რესურსცენტრის უფროსის, თინა ჯავახიშვილის განცხადებით, 773 პირველკლასელიდან მხოლოდ 377-მა მიიღო ახალი ჩანთები. 396 ჩანთას უახლოეს დღეებში ელოდებიან.

ანალოგიური მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონში. 700 პირველკლასელიდან სასკოლო ჩანთები მხოლოდ ნახევარმა მიიღო. 350 ჩანთის ჩამოსვლა დღე-ღამეზე ელოდებიან.

სარეაბილიტაციო-სასწავლო პროგრამა არასრულწლოვანი პრობაციონერებისათვის

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა **დემეტრი შაშკინმა** არასრულწლოვანი პრობაციონერებისთვის სარეაბილიტაციო, სასწავლო პროგრამა გახსნა. პრობაციონერთა სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში, არასრულწლოვანი პრობაციონერებისათვის კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები ამოქმედდა.

ორთვიანი პროექტი სასწავლო ცენტრის ბაზაზე 9 პრობაციონერის კომპიუტერულ პროგრამებში მომზადებასა და 20 პრობაციონერისათვის ინგლისური ენის კურსების ამოქმედებას ითვალისწინებს. პროექტის დასრულების შემდეგ, 9 პრობაციონერი საოფისე კომპიუტერულ პროგრამებში საბაზისო ცოდნას, ხოლო 20 ინგლისური ენის საწყის საფუძვლებს დაეუფლება. ამავე პროექტის ფარგლებში, პრობაციონერებისათვის გათვალისწინებულია აქტიური დასვენება. მათ განკარგულებაში იქნება უფასო ინტერნეტი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთისა და ფეხბურთის მინი-სტადიონი და სპორტული დარბაზი.

საქართველოს მთავრობასა და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის დადებულ სამოქმედო გეგმას, საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – სასჯელალსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი ახორციელებს.

„ამ პროექტის განხორციელებით, ერთი მხრივ, საზოგადოების უსაფრთხოებას უზრუნველყოფთ, რადგან დანაშაულის პრევენციაზე ვმუშაობთ და ბავშვებს დანაშაულის ჩადენის ნაკლები ცდუნება ექნებათ. მეორე მხრივ, ბავშვებს შანსს ვაძლევთ, რომ საზოგადოებაში თავიანთი ადგილი იპოვონ“, – განაცხადა მინისტრმა.

აღნიშნული საპილოტე პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა დონორის მიერ უფრო გრძელვადიანი სარეაბილიტაციო პროგრამების დაფინანსება.

რაბიონი



აჯანის საჯარო სკოლა

მიმდინარე წლის მარტიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ქალბატონი ნათია უშურაძე ხელმძღვანელობს. იგი პროფესიით ქიმიკოსია. მუშაობდა ლანჩხუთის სა-

სულიერო გიმნაზიაში (ახლა სამრევლო სკოლა) ქიმიის მასწავლებლად, თანამშრომლობდა გაზეთ „ლანჩხუთი პლუსში“, მუშაობდა გამგეობის აპარატის უფროსად, შემდეგ - გამგებლის მოადგილედ

და კურირებდა განათლებისა და სოციალურ დარგს. ასე რომ, განათლების სფერო მისთვის უცხო არ არის.

წლებადედილი სასწავლო წლის შესახებ იგი ასეთ ინფორმაციას გვანდის:

განსაკუთრებული სიახლე ან პრობლემა სასწავლო წლის დაწყების წინ რაიონში არ შექმნილა. წელს დროულად მოგვანოდეს გრიფორებული სახელმძღვანელოების ნიმუშები და კატალოგები, რამაც გაუადვილა პედაგოგებს სახელმძღვანელოების შერჩევა. კარგია, რომ გაიზარდა წიგნის გამოყენების ვადა. ვარდა ამისა, განხორციელდა განათლების სამინისტროს ტრადიციული პროექტები, ძირითადად, სკოლების რეაბილიტაციას და კომპიუტერიზაციას ვგულისხმობ. წელს რაიონის 13 სკოლას ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაზეც 380 000 ლარი დაიხარჯა; აშენდა აჯანის საჯარო სკოლა (750 000 ლარი), რომელიც წლების განმავლობაში გამგეობის შენობაში ფუნქციონირებდა. რამდენიმე დღეში დაიწყება სწავლა ღრმაღელის საჯარო სკოლაში.

ყველა რეაბილიტირებულ სკოლას გადაეცემთ ახალ სასკოლო მერხებს, რომელიც ახლახან მივიღეთ განათლების სამინისტროდან. 132 ერთეული ყველა მოსწავლისთვის გადაეცემა აჯანის საჯარო



შუხუთის საჯარო სკოლა

სკოლას, 97 - ქვიანს, 129 - ღრმაღელეს, 51 მერხით დანაკლისს შეეუფლებო ქალაქის №1 საჯარო სკოლას და მამათის სკოლას გადაეცემთ 34 მერხს.

პარალელურად, მიდის მუშაობა მომავალი წლისთვისაც. ვგულისხმობ სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობის პროგრამას. დასრულდა ტენდერი ჩიბათის საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტიზე. ასეთი ტენდერი გამოცხადდება ხაჯალიის სკოლის აშენებისთვისაც. სასურველია, მამათშიც აშენდეს ახალი სკოლა. ამით ლანჩხუთის რაიონში სკოლების მშენებლობის პროგრამა დასრულდება, რეაბილიტაცია კი გაგრძელდება.

წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურსდამთავრებულთაგან 145 ახალგაზრდა სტუდენტი გახდა. 40-მა სხვადასხვა სახის დაფინანსება მიიღო, 3-მა კი 100%-იანი გრანტი მოიპოვა. რაიონის გამგეობაში, ტრადიციისამებრ, სწორედ ისინი მიიწვიეს გიორგი ლომიძე და აკაკი ტორიძე ლანჩხუთის №1 და №3 საჯარო სკოლების, მზია პოპოვა სუფსის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები არიან. მათ სტუდენტობა მიულოცეს და ძვირადღირებული წიგნი „საქმიანი საქართველო“ გადასცეს.

სასწავლო პროცესი განახლდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სააღმწარღლო ჯგუფებში. როგორც საკრებულოს სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმწარღლო ცენტრის ხელმძღვანელმა ლია ურუმაძემ გვითხრა, წელს 16 ტერიტორიულ ერთეულში 614 აღსაზრდელი დაკომპლექტებული ოცდაორი სააღმწარღლო ჯგუფი ფუნქციონირებს. მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია, თუმცა ახალი ჯგუფების გახსნა ფინანსებთანა დაკავშირებული და ჯერჯერობით ამ მიზეზით ვერ ხერხდება. ამავდროულად შეფერხდა პრომისუბანში სააღმწარღლო ჯგუფის გახსნაც. სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით მხოლოდ ძირითადი სამუშაოები ჩატარდა. დამატებით 23000 ლარია საჭირო შენობის სრული რეაბილიტაციისთვის. ამავდროულად ფარგლებში გარემონტდა აჯანის, მამათის, ლესისა და სუფსის სააღმწარღლო ჯგუფები. ქალაქის №1 საგანმანათლებლო-სააღმწარღლო ჯგუფის რეაბილიტაციას გამგეობა გეპირდება. საჭირო თანხის არსებობისთანავე ეტაპობრივად დაიწყება სარემონტო სამუშაოები, რაც არანაირად არ შეუშლის ხელს სასწავლო-სამუშაო პროცესს.

ქალბატონი ლია ამბობს, რომ „მოთხოვნა სააღმწარღლო ჯგუფებზე გაცილებით დიდია, ვიდრე მათი დაკმაყოფილების საშუალება. 22 ჯგუფიდან ერთი ბაგის ჯგუფია, რომელიც სოფელ მაჩხავრეთში ფუნქციონირებს. იმდენად ბევრი იყო მსურველი, იძულებული ვაგხდით 20-ის ნაცვლად 27 პატარა მიგველო. იმ პირობებში როცა მშობელთა, თითქმის 90% უმუშევარია, ასეთი სააღმწარღლო ჯგუფების არსებობა (სამჯერადი კვება, კვალიფიციური პედაგოგები) ნამდვილად დიდი შედეგია“.

ერთი ასეთი სააღმწარღლო ჯგუფი ჩვენც ვხვებით სოფელ ჭყონაგორაში. შენობა, რომელიც ეს ჯგუფი ფუნქციონირებს (მხოლოდ ერთი ოთახი უჭირავს) დღემდე დაწყებითი სკოლა იყო. შენობის შესასვლელში გაკრულია პლაკატი „ჭყონაგორის სკოლა 100 წლისა“ ეს ასწლიანი ისტორიის მქონე მწვანე პატარა შენობა ახლა უჩვეულოდ სევდიანად გამოიყურება. წელს აქ სკოლის ზარი არ დარეკილა, შესაბამისად, არც ბავშვების ყრიაბული ისმის. იმ ერთ ჯგუფში (ყოფილ საკლასო ოთახში), რომელზეც ზევით მოგახსენეთ, პატარები სადილობდნენ. მშობლები მაღლიერებას არ მალავდნენ იმის გამო, რომ მათ შვილებს აქ გემრიელი სადილი, კარგი მოვლა და აღზრდა აქვთ.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ პრობლემა, რომლის წინაშეც სოფელი დადგა, გაცილებით მნიშვნელოვანია და მტკივნეული - თუ რაიმე გამოსავალი არ მოიძებნა 100 წლის წინ დაარსებული სკოლა, ალბათ, ვეღარ იფუნქციონირებს. მიზეზი კი ის არის, რომ 2006 წლის იანვრიდან იგი ნიგოთის საჯარო სკოლას მიუერთეს. მაშინ აქ 9 მოსწავლესთან 2 პედაგოგი მუშაობდა ერთ განაკვეთზე. შემდეგ, ოჯახური პირობების გამო, ერთმა დატოვა სკოლა და

დარჩა ერთი პედაგოგი, ქალბატონი ნაზი ფირცხალიძე. შარშან აქ დაწყებითი საფეხური (4 კლასი) 3-მა მოსწავლემ დაამთავრა და სამივემ სწავლა ნიგოთის საჯარო სკოლაში განაგრძო, ისე როგორც წინა წლებში. წელს კი ვითარება შეიცვალა - იმ სამი პატარას მშობლებმა, რომელთა შვილები დაწყებითი სკოლის პირველ კლასში უნდა შესულიყვნენ, ბავშვები პირდაპირ ნიგოთის სკოლაში მიიყვანეს. ქალბატონი ნაზი მიიჩნევს, რომ ეს გამიზნულად მოხდა და რაიონის ხელმძღვანელობას სკოლის დახურვის მცდელობაში ადანაშაულებს. ისინი ამ ბრალდებას უარყოფენ. ნიგოთის საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნატო მათითაიშვილი ამბობს: „ოპტიმიზაცია მძიმე ტვირთად დაგვანვა და ბევრი გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობები გააჩნია. დაწყებითი სკოლა ჩვენ საბაზო სკოლაზე შეგვიერთეს და ამ 3-4 წლის განმავლობაში დავერწმუნდი, რომ ეს არ იყო საუკეთესო გამოსავალი. რაც შეეხება ჭყონაგორის სკოლას, სოფელი, თითქმის, დატარილდა. სკოლის დახურვის საფრთხე, ალბათ, ადრე თუ გვიან მაინც განხილვებოდა დემოკრატიული ვითარების გამო, მაგრამ დღეს ამის მოსურნე ნამდვილად არაფერია. სკოლის დახურვა სოფლისთვის, ტრადიციის ტოლფასია. ჩვენ ვესაუბრეთ მშობლებს, ვთხოვეთ ეს არ გაეკეთებინათ, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შევაცვლევინეთ. ქალბატონი ნაზი დამსახურებული პედაგოგია, ლია მშობლებიც არაფერს ამბობენ მისი წინააღმდეგოდ. ეს რომ ასე იყოს იქ სხვა პედაგოგს ვაუწყებდით და ქალბატონ ნაზის ჩვენთან დავსაქმებდით. საქმეს ისიც ართულებს, რომ სოფელში არ არიან იმ ასაკის ბავშვები, მომავალ წელს რომ I კლასში წაიღებ. არადა, თუ ნახდა საქმე და სკოლამ ფუნქციონირება შეწყვიტა, ქონება ხომ მაინც უნდა შევინარჩუნოთ, ეზოს მოვუაროთ, შენობა შევინახოთ“. „ეს ჩემი აღმზრდელი სკოლაა და ძალიან მინდა მისი შენარჩუნება, - საუბარში ერთვება სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი ვენერა ხუხუნაიშვილი, - მაგრამ რა ძალა გვაქვს, მშობლებს ხომ ვერ დავუშლით შვილის სკოლაში შემოყვანას. რა ხდება, სადაა ძალის თავი დამარხული არ ვიცი. ეს ხალხი რაღაცას მალავს, მე ასე მგონია. ისიც კი თხვებს, თუ თქვენ არ მიღებთ ჩვენს შვილებს, ლანჩხუთის სკოლაში ვატარებთო. არ ვიცი, გამოსავალს ვერ ვხედავ“.

პარადოქსი ისაა, რომ პარალელურად ჭყონაგორელებმა წერილით მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას სკოლის შენარჩუნების თაობაზე, მაშინ, როცა თავად ამბობენ უარს იმ სკოლაში მიიყვანონ თავიანთი შვილები, რომლის ყოფნა-არყოფნის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ მათ გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული. ქალბატონმა ნაზიმ ქვეყნის პრეზიდენტსა და განათლების მინისტრსაც მიმართა სოფლისთვის სკოლის შენარჩუნების აუცილებლობის თაობაზე. ახლა აქ საქმეში მათი ჩარევის იმედზე არიან.

ნაპითომკომპანია ბი-პიმ, გასულ წლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლებში არაერთი პროექტი დააფინანსა. მაგალითად, სუფსის ტერმინალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სოფლების - სუფსის, წყალმინდისა და ღრმაღელის სკოლებში მოეწყო სპორტული მოედნები, კომპლექსი და ჩატარდა სარემონტო სამუშაოები.

მიმდინარე წელს ბი-პის საინვესტიციო პროგრამები არა მისაღწევის მიმდებარე, არამედ მისაღწევის მიმდებარე რადიუსით დამორებული სკოლებს შეეხო. ჯურუყვეთის №1 და №2, ახალსოფლისა და ნიგვიანის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მცირე ტრანქტორები, 5- და 8000 ლარამდე გამოიყო. 10 სექტემბერს, ლანჩხუთის რესურსცენტრში, ბი-პის წარმომადგენლებმა: სოციალური საკითხების ჯგუფის ხელმძღვანელმა ნატო თხლამაძემ, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებმა - ლია კვინინაშვილმა და ზურა მღვდლიაშვილმა სწორედ ამ პროექტის პრეზენტაცია გამართეს. პროექტში მონაწილე სკოლების წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს განულები სამუშაოების შესახებ. აღინიშნა ისიც, რომ სკოლაში არსებულ მრავალ პრობლემათაგან პრიორიტეტული სამეურვეო საბჭოს, პედაგოგთა და დირექციის შეთანხმების შედეგად შეარჩიეს. ვარდა ამისა სკოლებმა გაითვალისწინეს დამფინანსებლის კატეგორიული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ დაფინანსდებოდა მხოლოდ ისეთი სამუშაოები, რაც მომავალშიც გამოადგებოდა სკოლას. როგორც პრეზენტაციებზე ითქვა ახალსოფლისა და ნიგვიანის საჯარო სკოლების მოთხოვნით გრანტის ფარგლებში საპირფარეოები მოეწყო.

ვასილ გიგინიშვილი, ჯურუყვეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორი: „17 წელია, სკოლის დირექტორი ვარ და ყველაზე დიდი პრობლემა ყოველთვის უწყლობა იყო. ამიტომ არჩევანზე დიდხანს არ გვიფიქრია, ასევე ერთსულოვანი ვიყავით მეორე არჩევანში - წლებია, სკოლაში არ გვაქვს ელექტროგაყვანილობა. ორივე პროექტი სულ 5000 ლარი დაჯდა. მადლობას ვუხდით ბი-პის, რომელმაც ორი დიდი პრობლემა მოგვინახა“.

ჯურუყვეთის №2 სკოლაში მონესრიგ-და წყალმომარაგების სისტემა და მოეწყო ოთახი კომპიუტერებისათვის, ფანჯრებზე რკინის გალიით და სათანდო, ალქურზე მოჭრილი მოსახლეობაში, როგორც ნელა შეიტანეს მის განხორციელებაში პედაგოგებმა და მშობლებმა. ოქტომბრიდან პროგრამაში ჩაერთვება ჩიბათის, ლესისა და ხაჯალიის სკოლები, რადგან პირველ ეტაპზე მათ ვერ მოახერხეს პრიორიტეტების შერჩევა. პრეზენტაციის დასასრულს სკოლის დირექტორებს პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.



მოზალთა კრება

დღეს ტელევიზორი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ალბათ, შეამჩნევდით, თუ ტელევიზორი გამორთულია, ადამიანთა უმეტესობა თავს არაკომფორტულად გრძნობს. ხშირად არც უყურებენ, მაგრამ ჩართული უნდა იყოს და მისი ხმა გარკვეულ ხმოვან ფონს უნდა უქმნიდეს. ხშირად ტელევიზორი ოჯახის სრულყოფილებიანი წევრი ხდება, მის გარეშე თავს მართო გრძნობ და სევდა გეუფლება.

რა მოვლენასთან გვაქვს საქმე? მხოლოდ ცუდი ჩვევაა? არა, ეს უფრო ფსიქოლოგიური პრობლემაა, რომელსაც თავისი სახელიც კი აქვს – ტელემანია, ანუ ტელევიზორზე ავადმყოფური დამოკიდებულება. მისგან განთავისუფლება უფროსებისთვისაც კი ძალიან ძნელია, რომ აღარაფერი ვთქვათ ბავშვებზე. ტელევიზორის ეკრანი მათ მაგნიტივით იზიდავს.

საზოგადოებრივი თანაც როგორი

ერთი შეხედვით, თითქოს, ტელევიზორის ყურებაში ცუდი არაფერია. რა მოხდა, ბავშვი მულტფილმებს თუ უყურებს?! ტელევიზორის გარეშე ხომ ძნელია ბავშვის დანყნარება, უფრო და უფრო ჭირვეული ხდება, დაუმორჩილებელი, დროზე არ იძინებს... ალბათ, მორიგი ასაკობრივი კრიზისი დაიწყო... – ასე ფიქრობს, სამწუხაროდ, მშობელთა უმეტესობა და ტელევიზორის დახმარებით ავგარებენ პრობლემებს (მაგალითად, აჭმევენ მულტფილმის ყურების დროს). შემდეგ კი უკვირთ: „რა მოუვიდა? როგორი ჯანმრთელი და მშვიდი იყო, რა ხდება?“ და პრობლემას, რომლის წინაშეც აღმოჩნდებიან, ვერაფრით უკავშირებენ ბავშვის დამღუპველ ჩვევას – ხანგრძლივად ტელევიზორის ყურებას.

რა შედეგები შეიქმნება მოზალთა ტელევიზორის?

პირველ რიგში, უარყოფითად მოქმედებს მხედველობაზე. ეს ხომ ყველასთვის ცნობილია.

გარდა ამისა, ტელევიზორის წინ ხანგრძლივად ჯდომა ბავშვის ხერხემალზე აისახება. დიდხანს უმოძრაოდ ყოფნა ბავშვის ხერხემლისთვის მავნებელია.

ჰიპოდინამიამ შეიძლება ჭარბწონიანობაც გამოიწვიოს. აბა, გაიხსენეთ, რამდენი ხანი ვზივართ ხოლმე ტელევიზორთან და თან, აუცილებლად, კალორიულ სასუსნაველებს ვიჭყევთ თავს.

მაგრამ ყველაზე ხშირად ნევროლოგიურ პრობლემები წარმოიშობება. მიაქცევთ ყურადღება, რაიმე ჩივილით თუ მიმართავთ ნევროპათოლოგს, აუცილებლად დაგისვამთ შეკითხვას: „თქვენი ბავშვი ხანგრძლივად უყურებს ტელევიზორს? იმიტომ, რომ ცისფერი ეკრანი დამღუპველად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე. მოუსვენარი ძილი, დაძინების პრობლემა, ენის დაბზა, ნერვიული ტიკები, მომატებული აღზნებადობა – აი, სრული სია, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ტელევიზორზე დამოკიდებულებამ.“

ხოლო იმაზე, თუ რა ცუდად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე გაუთავებელი რეკლამები და სხვადასხვა სახის ე.წ. „ბოვიკები“ და თრილერები, საუბარიც კი ზედმეტია. გამოსახულების სწრაფი ცვლა, გაბმული მუსიკა, ადვილადდასამახსოვრებელი გარითმული ტექსტები და აი, თქვენი პატარა რეკლამების სლოგანი თუ ალაპარაკება და ვეღარ წარმოუდგენია ცხოვრება ამ კანფეტებისა თუ საღებავების, სათამაშოს გარეშე. ძალადობის სცენები კი, რომლებიც არამარტო „დიდების“ კინოფილმებშია, არამედ მულტფილმებშიც (განსაკუთრებით მულტსერიალებში) გვხვდება ბავშვებში სისასტიკესა და აგრესიას იწვევს.

ტიპური შეცდომები

შეცდომა №1 – „ჩვენი ტელევიზორს ვუყურებთ, ბავშვი კი შორიანხლო თამაშობს.“

თუ ბავშვი სხვა ოთახშია, დახურულ კარს იქით, მაშინ ყველაფერი ნორმალურია. მაგრამ, თუ თქვენ გვერდითაა მოკალათებული და უთუოდ მშვენივრად ხედავს, რა ხდება ეკრანზე (თუნდაც ფრაგმენტულად), უსმენს და ყველაფერს „თავში იბეჭდავს“.

შეცდომა №2 – „ყველაფერს კი არ ვაყურებინებთ, მხოლოდ იმ არხებს, რომელზედაც მულტფილმები და საგანმანათლებლო პროგრამებია.“

ოს ეს
საძინელი
ცელევიზორი



რა თქმა უნდა, არჩევანის საშუალება არსებობს, არის ისეთი არხები, რომლებიც უაზრო სასტიკ მულტფილმებს კი არ აჩვენებენ, არამედ საბავშვო შემეცნებით გადაცემებს. მაგრამ ბავშვმა ამ არხის გადაცემებსაც შეიძლება მთელი დღე უყუროს – გადაცემებს ფილმები ცვლის, ფილმებს – თამაშები, შემდეგ მულტფილმები იწყება და ასე გრძელდება საღამომდე. თუ თქვენ იმის იმედი გაქვთ, რომ ბავშვი დამოუკიდებლად შეისწავლის რაიმე სასარგებლოს (ვთქვათ, ინგლისურს), თქვენი მოლოდინი არ გამართლდება. საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ გარკვეული სიტყვების წარმოთქმა ეცოდინება ზეპირად. კარგი შედეგი რომ მიიღოთ, რეგულარული მეცადინეობა აუცილებელია, თან ისეთი ადამიანის მეთვალყურეობის ქვეშ, ვინც დაეხმარება, უკარნახებს, აუხსნის უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, თან გააკონტროლებს, ბავშვმა ათვისა თუ არა მასალა.

შეცდომა №3 – „ჩვენი პატარა ძალიან მუსიკალურია, ამიტომ მუსიკალურ არხებს ვურთავთ ხოლმე.“

პატარას ცეკვა და სიმღერა უყვარს? შესანიშნავია, მაგრამ ნუ ჩაურთავთ ვიდეოკლიპებს, მოასმენინეთ აუდიოჩანაწერები. ვიდეოკლიპები ისეთივე ზემოქმედებას ახდენს ბავშვის გონებაზე, როგორც რეკლამა. ფერადი გამოსახულება ძალიან სწრაფად იცვლება და ბავშვი დაჰინოზებულოვით შესცქერის ეკრანს, მზერას ვერ სწყვეტს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ კლიპების სიუჟეტები, ხშირ შემთხვევაში, ბავშვისათვის მიზანშეწონილი არ არის – ხშირია ძალადობისა და საკმაოდ „გულახდილი“ სცენები.

მუსიკალურ არხებზე ტელეგადაცემები შეიძლება ნონ-სტოპის რეჟიმში გადმოიცემოდეს და, შესაბამისად, ბავშვი მთელი დღე ვერ მოსწყდეს ეკრანს.

შეცდომა №4 – „ჩვენ მხოლოდ ხარისხიან მულტფილმებს ვაყურებინებთ, ისეთებს, დროის გამოცდას რომ გაუძღეს. სახლში მულტკლასიკის მრავალფეროვანი კოლექცია გვაქვს.“

როგორც ჩანს, ეს ოპტიმალური ვარიანტია მშობლებისთვის. მთავარია, ზომიერება დავიცვათ, რადგან თუნდაც ძალიან კარგ და ხარისხიან ფილმებს და გადაცემებს რომ უყუროს ხანგრძლივად, ბავშვის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანი მაინც დიდი იქნება. შეიძლება მშობლისთვისაც, ზოგჯერ, მოსახერხებელია ბავშვის ტელევიზორთან ჯდომა, მაგრამ თუ თქვენი პატარას ჯანმრთელობა სულ ერთი არ არის, ამ მეთოდს ხშირად ნუ მიმართავთ.

ვამაგი ალტერნატივა

ექიმებს მიაჩნიათ, რომ ბავშვის ცხოვრებაში ტელევიზორი 3 წლის ასაკიდან უნდა შევიდეს, ისიც მხოლოდ 10-15 წუთი დღეში. რითი გავართოთ ბავშვი დღის განმავლობაში?

გაითვალისწინეთ, რომ ტელემანია ძალიან ძნელი გადასაჩვევია. ამიტომ ოჯახში ბავშვის გაჩენასთან ერთად მშობლებმა ტელევიზორის ყურება უნდა შეზღუდონ. ცუდი მაგალითი რომ გადადებოდა, ეს ხომ საყოველთაოდ ცნობილია. ამიტომ ყველაფერი უნდა იდროით იმისთვის, რომ სხვა ხერხით გავართოთ ბავშვი.

ურთიერთობა – ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება მოყვარულმა მშობელმა შვილს შესთავაზოს. ერთად ითამაშეთ, იხუმრეთ, იკითხეთ, იცეკვეთ და იმღერეთ, პარალელურად კი სახლის საქმეც აკეთეთ.

გასეირნება – შეძლებისდაგვარად, ეცადეთ, თავისუფალი დრო სუფთა ჰაერზე გაატაროთ. იქ ხომ ტელევიზორი არც კი გახსენდებათ.

წიგნები – არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ თანამედროვე ბავშვები გაცილებით ნაკლებს კითხულობენ, ვიდრე ეს ადრე იყო. ეს არც არის გასაკვირი, ინფორმაცია ხომ სულ იოლად შეიძლება მიიღოთ – აიღეთ პულტი, დააჭირეთ დილაკს, მოხერხებულად მოუნყვეთ და უყურეთ. აღარაფერს ვამბობ კომპიუტერის შესაძლებლობებზე. თუ არ გინდათ, რომ ასე მოხდეს, ბავშვს პატარაობიდანვე შეაყვარეთ წიგნი. რაც შეიძლება მეტი უკითხეთ, ათვალაიერე-

ბინეთ ფერადი ილუსტრაციები, პატარას მიეცით საშუალება, დამოუკიდებლად ფურცლოს წიგნი.

ხელოვნება – ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია... – ეს არასრული სიაა იმ საქმიანობის, რითაც შეიძლება ბავშვთან ერთად დედაც დაკავდეს. თუ ამ ჩამონათვალს დაეუმატებთ სხვადასხვა სახის ლოტოებს, პაზლებს ან სხვა უამრავ თავშესაქცევს, რომელთა შექმნა ნებისმიერ მაღაზიაში შეიძლება...

ბევრი მშობელი იტყვის, რომ ამისთვის დრო აღარ რჩება. ტელევიზორი კი საუკეთესო საშუალებაა ბავშვის გასაჩერებლად, როცა სხვა საქმიანობით გვინდა დაეკავდეთ (სარეცხი, სადილი, დალაგება, ან თუნდაც ტელეფონით საუბარი). ბავშვი რომ დამოუკიდებლობას მიაჩვიო, დიდი მოთმინება და გამომგონებლობა, ზოგჯერ ეშმაკობაც კი გამართებს.

თამაში – რა თქმა უნდა, ბავშვს საკმაო რაოდენობის სათამაშო უნდა ჰქონდეს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი განურჩევლად უნდა ვიყიდოთ და თან რაც შეიძლება ძვირიანი. მნიშვნელოვანია, სათამაშოები მრავალფეროვანი იყოს: თოჯინები, მანქანები, ჭურჭელი, საეიქმო ჩანთა და ა.შ. კონსტრუქტორების, პაზლებისა და ლოგიკური თამაშების მხოლოდ შექმნა საკმარისი არ არის. ბავშვი რომ დაინტერესდეს დიდი დროს დახარჯვა მოგიწევთ – უნდა ასწავლოთ, როგორ გამოიყენოს ეს სათამაშოები და გვერნმუნეთ, თქვენი პატარა არაერთხელ გაგახარებთ გამომგონებლობითა და საზრიანობით.

ერთი ეშმაკობაც არ დაგავინცდეთ: მობეზრებულ სათამაშოს გარკვეული დროით თუ შეინახავთ, 3-4 კვირის შემდეგ ბავშვი ისე აღიქვამს მას, როგორც ახალს და დიდი ინტერესით ითამაშებს.

აუდიოდისკები და კასეტები – მიაჩვეთ ბავშვი მოსმენას. ბავშვებისთვის გადაშუშავებული კლასიკური მუსიკა, საბავშვო სიმღერები, ზღაპრები, აუდიოწიგნები – დღეს ფართო არჩევანია. ნუ გექნებათ იმის მოლოდინი, რომ ბავშვი პირველივე მოსმენისას აღფრთოვანდება. თავიდან მის გვერდით იყავით, დააკვირდით მის რეაქციას, თუ რამეს ვერ გაიგებს, აუხსენით. ამასთანავე, გაითვალისწინეთ ბავშვის ასაკი და მომზადება. მაგალითად, აუდიოწიგნი ნაკლებად ემოციურია, ვიდრე მუსიკალური ზღაპარი, მაგრამ ეს უკანასკნელი ბავშვისთვის შეიძლება უფრო ძნელად გასაგები აღმოჩნდეს. აუხსენით მიუზიკლის სპეციფიკა, რა ხდება, ვინ რას ამბობს და ა.შ. ამის შემდეგ მუსიკალური ზღაპრის მოსმენა მისთვის უფრო სახალისო იქნება.

ხატვა – თუ თქვენი პატარა უკვე ხვდება, რომ კედელზე გაკრული შპალერი მისი ჩარევის გარეშეც მშვენივრად გამოიყურება, შეგიძლიათ თამამად ანდოთ ფანქარი. ბავშვი ხატვამ შეიძლება ისე გაიტაცოს, რომ თქვენი გვერდზე ყოფნა საჭირო არც იქნება. არჩევანი უზარმაზარია – ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, კალმები, აკვარელის საღებავები, გუაშები და სხვ. ხატვა ნებისმიერი სახით შეიძლება: რაც სურს; ტრაფარეტის მიხედვით (სხვადასხვა თემატიკის – ცხოველები, მანქანები...); კონტურებით და ა.შ. შეიძლება როგორც განმავითარებელი, ასევე თემატური გასაფრადებელი ალბომების ყიდვა.

ვფიქრობ, ნებისმიერ დედას შეუძლია სხვადასხვა გასართობის მოგონება. ტელევიზორი იოლად შეიძლება ჩანაცვლოთ რაიმე უფრო სასარგებლო საქმიანობით, თუ ამის სურვილი გაგიჩნდათ.

კომპიუტერით სარგებლობის „საერთაშორისო მართვის მოწმობა“ უკვე საქართველოშიც გაიცემა

თბილისის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრმა „კომპიუტერის მომხმარებელთა სერტიფიცირების ევროპული ფონდისგან“ (ECDL) ექსკლუზიური უფლება მოიპოვა, ლიცენზირებულად გასცეს საქართველოში კომპიუტერული სარგებლობის „მართვის მოწმობა“ (Skills Card).

თბილისის ინფორმაციული ტექნოლოგიების ცენტრის ბაზაზე დაფუძნებული ECDL – ტესტირებისა და სერტიფიცირების ავტორიზებული ცენტრი ამიერკავკასიაში პირველია. იგი საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, მიიღონ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნის დამადასტურებელი, მთელ მსოფლიოში აღიარებული სერტიფიკატი.

ტესტირების გავლის საფუძველზე, კომპიუტერის მომხმარებლის ცოდნის სერტიფიკატი შეუძლია აიღოს იმ ნებისმიერმა მოქალაქემ, რომელიც საოფისე პროგრამებსა და ინტერნეტში მუშაობის უნარ-ჩვევებს ფლობს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი: www.ecdl.ge

ექვსი ათეული წელი კელაბობიურ სარბიელზე



თხემით ტერფამდე პედაგოგი, ნამდვილი პროფესიონალი, ასეთი გახლავთ ქედის რაიონის გოგიაშვილების საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სანაქებო მასწავლებელი და ჩინებული აღმზრდელი **ნოდარ ავალიანი**. კულტურული, ზნემაღალი, საოცრად გულისხმიერი, ნამდვილი პედაგოგის შესაფერისი სიმშვიდის მქონე მუდამ იმის ცდაშია, როგორც ნოდარ დუმბაძე იტყოდა, ადამიანი იმ მხრიდან დაინახოს საიდანაც იგი უფრო ლამაზი და მომხიბვლელია.

ბატონ ნოდარის უმნიშვნელო პედაგოგიურ ტაქტს, ალღოს და გამოცდილებას საჯარო სკოლებში მოღვაწეობის ექვსი ათეული წელი ამშვენებს. „მოსწავლეებს გამორჩეულად გვიყვარდა და გვიყვარს ნოდარ მასწავლებელი. იგი მთელ თავის ცოდნასა და ენერჯიას, ნიჭსა და უნარს, ჩვენი სულის გაკეთილშობილებას და მშობლიური ენისადმი სიყვარულის გავლენებს ახმარდა,“ – ამბობს პროფესორი **რევაზ მანველიძე**.

მთის გულ-მკერდზე გადაშლილ სოფელ დანდალოდან იწყება მისი ხატი-მამული. თვალს ატყევეს ბევრი ავის და კარგის მომხრე ეს ისტორიული სოფელი თავისი გოლიათი, ლეგენდებში გახვეული წმინდა თამარის თაღვანი ხიდი, რომელიც რვაასი წლის წინ გადებულია ლურჯად მოკამკამე აჭარისწყალზე და დღესაც მთელი სიმტკიცით უძლებს უღმობელ დროის გამოცდას.

ობლობაში გაზრდილი ბიჭის გზა ცოდნის ტაძრისაკენ მშობლიური სოფლის სკოლიდან დაიწყო. შემდეგ ქედის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა. პე-

დაგოგიური პროფესიის ხიბლს დანდალოს შვიდწლიან სკოლაში ეზიარა. ახალბედა, მოაზროვნე პედაგოგი I კლასის მასწავლებლად დაინიშნა. საქმის სიყვარულით თავდაუზოგავად შრომობდა და იხარჯებოდა. პარალელურად გერმანულ ენასაც ასწავლიდა V-VII კლასებში.

1948 წლიდან ნოდარ ავალიანი შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტია.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კვლავ მშობლიურ სკოლას უბრუნდება. ცოდნის ტაძარში მიღებული ცოდნა-გამოცდილებამ კიდევ უფრო აამაღლა მისი პროფესიული ოსტატობა, სრულყო ადამიანებთან ურთიერთობის და ბავშვის სულის მართვის ხელოვნება. ფუტკარივით თავდაუზოგავად შრომობდა. ჯავარიანი ქართულით აუფლებდა აღსაზრდელებს მშობლიურ ენას, მის ხიბლს აგრძნობინებდა და სიყვარულს უღვივებდა. მდიდარი ლიტერატურული შედეგებით, შთამაგონებელი საუბრებით აფართოებდა მათ გონებრივ თვალსაზრისს, უყალიბებდა ხასიათს, ძერწავდა მათ სულს.

ბატონი ნოდარის გატაცება მუდამ იყო და არის ახლებური, თანამედროვე მოდერნიზებული გაკვეთილი. მისთვის გაკვეთილზე შესვლა აღსაზრდელის სულში შესვლას, ფიქრისა და განსჯისათვის სარბიელის შექმნას ნიშნავს. უკვე ექვსი ათეული წელია, მის გაკვეთილებზე ისმის მასწავლებლის მიერ ნათქვამი: რატომ, როგორ ფიქრობ, როგორია შენი აზრი, დასაბუთე, რისთვის მოიტანე ეს არგუმენტი, რატომ აქვს ასეთი სათაური, რისი თქმა

სურს ავტორს, ვისი მოქმედება მოსაწონი, დასაგმობი, რატომ, ვის მოსაზრებას იზიარებ... ყოველივე ამას ემატება სწავლების ახალი გზების ძიება, მუშაობის საინოვაციო, ახლებური ხერხები, ფორმები და მეთოდები. შედეგად თვალსაჩინოა. მისი ერთი გაკვეთილი არ ჰგავს მეორეს. ყველა ახლებურად იკითხება, ერთიმეორეზე მიმზიდველი, საინტერესო და შთამბეჭდავია. სწორედ საგნის სწავლებაში მიღწეულმა წარმატებებმა განაპირობა მისი სასწავლო ნაწილის გამგებ დანიშნულება. მაძიებელმა პედაგოგმა აქაც თავი გამოიჩინა როგორ ნიჭიერმა, ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებულმა ორგანიზატორმა, გულისხმიერმა და უნარიანმა ხელმძღვანელმა.

1954 წლიდან ნოდარ ავალიანი საცხოვრებლად მეზობელ სოფელ გოგიაშვილებში გადადის. მუშაობაც ამავე სოფლის საშუალო სკოლაში დაიწყო.

1961-1966 წლებში დაუსწრებლად სწავლობდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტზე, რაც დიდად დაეხმარა მშობლიურ ენასთან ერთად მაღალ დონეზე დაეყენებინა გერმანული ენის სწავლებაც. შემოქმედი პედაგოგი სკოლის დირექტორად დააინიშნა. 16 წელი ღირსეულად ედგა სათავეში გოგიაშვილების საშუალო სკოლას. მისი მოღვაწეობის პერიოდში სკოლა კვლევის, ძიების, სიახლეთა დანერგვის პროცესში იყო. მასწავლებელთა მასწავლებელი საქმის საფუძვლიანი ცოდნით ხელმძღვანელობდა სასწავლო-აღმზრდელი პროცესს. შექმნა კეთილგანწყობისა და შემოქმედებითი ურთიერთობის

ატმოსფერო. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების, ორიენტირების, თანამშრომლობის, განმავითარებელი სწავლების, მონინავე, ნოვატორული გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვას, მოსწავლეთა ნივთიერების დონის ამაღლებას, გაკვეთილებზე ბავშვების აქტიუზაციას, მათი ინტელექტუალური, ზნეობრივი და ფიზიკური პოტენციალის მაქსიმალურ ამოქმედებას, ქვეყნის მამულიშვილების აღზრდას. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობდნენ რაიონულ, ზონალურ და რესპუბლიკურ ტურნებში და შემოქმედებით კონფერენციებში და ყოველთვის სიგელებით ჯილდოვდებოდნენ. თავადაც რეგულარულად მონაწილეობდა პედაგოგიურ-სამეცნიერო კონფერენციებში. მეცნიერული და პრაქტიკული საკითხებით შეჯერებული მისი მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა პედაგოგებსა და განათლების დარგის სხვა მუშაკებში.

განათლების სისტემის ხელმძღვანელობისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ერუდირებული, სკოლათმცოდნე დირექტორის შთაგონებული საქმიანობა. იგი ქედის რაიონის განათლების განყოფილებაში გადაიყვანეს აღმზრდელით დარგის მთავარ სპეციალისტად. აქ კიდევ უფრო გაიშალა და მაქსიმალურად გამოვლინდა მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ჭკვიაწურად მოფიქრებულმა და სწორად დაგეგმილმა მუშაობამ, საქმის სიყვარულმა და ენთუზიაზმმა განაპირობა წარმატება. სკოლებში შეიქმნა აღმზრდელით მუშაობის მოქნილი სისტემა, რამაც საგრძნობლად აამაღლა რაიონის სკო-

ლებში აღმზრდელით მუშაობის დონე.

ნოდარ ავალიანის ხანგრძლივი, უმნიშვნელო და ნაყოფიერი მუშაობა სათანადოდაა დაფასებული. დაჯილდოებულია „სახალხი განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, საპატიო სიგელებითა და დიპლომებით, მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. ყველაზე ძვირფასი ჯილდო კი მისთვის ის დიდი სიყვარული და პატივისცემაა, რომლითაც გარემოსილია საზოგადოებაში.

გულთკავთ ბატონ ნოდარს დაბადებიდან მე-80 წლისთავს. ღმერთმა ახაროს და აბედნიეროს თავის დიდ და სასახლო ოჯახთან ერთად.

აკაკი ზოიძე

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე,

დურმიზან შავიშვილი

ქედის რაიონის რესურსცენტრის უფროსი,

ლევან ოტოლაძე

გოგიაშვილების საჯარო სკოლის დირექტორი

ინფორმაცია

კალაშნიკოვა წყვილებში უფრო ნარმატებულად თავაშობს

19 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** ქართული ჩოგბურთის ერთ-ერთი მთავარი იმედი და ასაკობრივ ტურნირებში მსოფლიო დონის რამდენიმე ხმაურიანი გამარჯვებაც მიუთვლია, მაგრამ უფრო ნარმატებით მაინც წყვილებში თამაშობს. მისი ბოლოდროინდელი მიღწევაც ამავე შინაარსისაა – კვირას იტალიური ნეაპოლის 25-ათასდოლარიანი ტურნირი მოიგო რუს ნინა ბრატჩიკოვასთან ერთად. პირველ ნომრად განთესილმა ამ წყვილმა ფინალში მძიმე ბრძოლაში მეორე ნომრად გამწესებული ირიგოენი-ხოზამის არგენტინული დუეტი დაჯაბნა – 7:6; 2:6; 10:8.

აღსანიშნავია, რომ კალაშნიკოვასთვის ეს წყვილებში მოპოვებული საიუბილეო, მეათე გამარჯვებაა, წლეულს კი მესამე – უზბეკურ ყარშასა და ყაზახურ ალმატიშიც იმარჯვა. მსოფლიოს რეიტინგით, ის წყვილებში 209-ე ჩოგანია, ამ წარმატების შემდეგ კი რეიტინგს გაიუმჯობესებს. სავარაუდოდ, ქულებს ერთეულშიც შემატებს თავის 197-ე ადგილს, რადგან ნეაპოლში ინდივიდუალურ ტურნირშიც გამოვიდა და მეოთხედფინალშიც გააღწია.

კვირას კიდევ ერთმა ახალგაზრდა ქართველმა ჩოგბურთელმა მოიგო ტურნირი და იმანაც წყვილებში და ისევ რუსთან ერთად – 20 წლის **სოფო ქვაცაბაიძე** ესპანურ ლეიდაში აუგუსტა ციბიშევასთან ერთად გამარჯვა. ფინალში მათ ერმოსოსა და მუგურუზა-ბლანკოს ესპანურ-მექსიკური ტანდემი იოლად დაამარცხეს – 6:3; 6:2.



ჭაბუკები ჯერჯერობით შინ იბაზან

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებლობების ფონზე, უმცროსი ასაკობრივი ნაკრებების ფეხბურთელთა წარმატებები თუ გაგვახარებს. ამჯერად 17-წლამდელთა ნაკრებზე გიამბობთ, რომელიც 20 ოქტომბრიდან შოტლანდიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლისთვის ემზადება. გიორგი დევედარიანის განვრთნილები, ბულგარული პალანგის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვების შემდეგ, შინ აგრძელებენ მომზადებას. ნაკრები თბილისში, სასტუმრო „ბასაშია“ დაბინავებული. მორიგი საკონტროლო შეხვედრა გამართა „ვიტ-ჯორჯია-2“-მა. ამ კლუბის პირველი გუნდი ეროვნული პირველობის ერთ-ერთი ლიდერია, შეხვედრაში კი ფარმკლუბში 5 ისეთი ფეხბურთელი გამოდიოდა, რომელიც ქვეყნის ლიდერის ძირითად შემადგენლობაშიც თამაშობს. მაგრამ ამ ფაქტორს 17-წლამდელთა ოდნავადაც არ შეუქოჭმანებია და შეხვედრა 2:1 მოიგეს. თანაც ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და თამაში გამგებულნი გოლის შემდეგ შემოაბრუნეს. ვიტ-ჯორჯიელი ხოკერაშვილის გოლს ლევან კოშაძემ უპასუხა, რომელმაც კარგად გამოიყენა დავით სხირტლაძის გადაცემა. ტაიმიც 1:1 დამთავრდა, მეორეში კი გამარჯვების გოლი არჩილ ტვილიდანმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

მოამზადა
ირაკლი თავაძე



გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, სარესტავრაციო სამუშაოების დროს, სპეციალისტებმა კედელზე წმინდა ნინოს ფრესკა აღმოაჩინეს. ფრესკა სანთლის ჭვარტლის სქელი ფენით იყო დაფარული და მე-16 საუკუნის ეროვნული მხატვრობის ხანის ხატუნის ნიმუშს მიეკუთვნება. კალაურის წმინდა გიორგის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. „წმინდა ნინოს უნიკალურ ფრესკას თან ახლავს ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები, რაც ქართული ხატუნის ისტორიაში იშვიათია. ფრესკის შესწავლას სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყებთ“, – განაცხადა კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სპეციალისტმა **თამაზ მარკოზიშვილმა**. კალაური გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობს, გურჯაანიდან 18 კილომეტრში.

რეპორტი



ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ავტონომიური რესპუბლიკის 235 საჯარო სკოლიდან 231 საჯარო სკოლაში აუღერდა (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კირნათის, ახალშენის N2, სალიბაურისა და ბათუმის N3 საჯარო სკოლებში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები და სასწავლო პროცესი ამ სკოლებში ოქტომბრის დასაწყისში განახლდება).

2009-2010 სასწავლო წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში შეტანილი იქნა 7856 ინდივიდუალური მერხი და სკამი.

17 ათას I-IV კლასელ მოსწავლეს საჩუქრად სასკოლო ფორმა დაურიგდა, პირველკლასელებს კი, დამატებით პრეზიდენტის საჩუქარი - სასკოლო სახელმძღვანელოთა პაკეტი და ჩანთები გადაეცა.

მიმდინარე წელს სკოლის კარი რეგიონის 68 ათასმა მოსწავლემ შეაღო, აქედან 5 ათასი პირველკლასელია.

განსაკუთრებული სიხარულითა და მღელვარებით შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაქვის N2 და სოფელ წყავროკას საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგიური კოლექტივი და მშობლები. ჩაქვისა და წყავროკას საჯარო სკოლები, წლების განმავლობაში, ამორტიზებულ შენობებში იყო განთავსებული. წელს კი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებულ სკოლებში მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **ლევან ვარშალომიძემ**, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **მიხეილ მახარაძემ**, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მათე ტაკიძემ**, მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ვასილ თავართქილაძემ** და სხვა მოწვეულმა სტუმრებმა მიულოცეს.

ბათუმის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ახალი სასწავლო წელი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, ამავე სკოლის კურსდამთავრებულმა, მომღერალმა **სოფო ხალვაშმა**ც მიულოცა.

ასევე საზეიმო ატმოსფეროში დაიწყო ახალი სასწავლო წელი ხულოს, შუახევის, ხელვაჩაურის, ქედისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებში. მათ საკანონმდებლო, აღმასრულებელი ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები სტუმრობდნენ.



პირელი ზარი ბათუმის №4 საჯარო სკოლაში ქალაქის მერმა და პირველკლასელმა ერთად დარეკეს. **რობერტ ჩხაიძე** ამ სკოლის კურსდამთავრებულია და, ტრადიციულად, სასწავლო წლის დაწყების პირველ დღეს ამ სკოლას ესტუმრა.

სასწავლო წლის დაწყება ბათუმის მერმა მე-14 საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებსაც მიულოცა. ამ სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეს - **ცირა კონცელიძეს** კი საჩუქრად კომპიუტერი გადასცა.

ცირა კონცელიძე რესპუბლიკური ოლიმპიადის გამარჯვებულია. ის, საქართველოს მასშტაბით, იმ 58 წარმატებულ მოსწავლეთა შორის იყო, რომლებიც დიდი ბრიტანეთის საზღვრულ სკოლაში პრეზიდენტის პროგრამით გააგზავნეს. 58 წარმატებული მოსწავლე 1000-იდან შეირჩა.

როგორც მე-14 საჯარო სკოლის პედაგოგები აცხადებენ, სკოლა მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა და სასკოლო ოლიმპიადების გამარჯვებულებიც მრავლად ჰყავთ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საბავშვო ბაღების სამშენებლო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის N38 განკარგულების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე 20 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მო-

ადგილემ, ბატონმა **ირაკლი ბარამიძემ** 2009 წლის 18 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეში, კახაბერსა და თხილნარში საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგი განახორციელა.

მან ასევე დაათვალიერა კახაბერის №1, №2, ადლიის, ახალსოფლის, მახვილაურის საჯარო სკოლებში 2009-2010 სასწავლო წლისათვის მზადების პროცესი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ბატონმა მათე ტაკიძემ ბათუმის N2, N3 და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის N1 საჯარო სკოლებში 2009-2010 სასწავლო წლისათვის სამზადისი და ახალშენის N2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროექტი გრძელდება. პროექტის ფარგლებში, სარემონტო სამუშაოები ამ დროისთვის №10 და №4 ბაღებში მიმდინარეობს.

პროგრამა ბაღების კაპიტალურ რემონტს ითვალისწინებს, რისთვისაც ქალაქის ბიუჯეტიდან მილიონ ლარზე მეტი გამოიყო.

მიმდინარე სამუშაოები ბათუმის მერმა პირადად დაათვალიერა. **რობერტ ჩხაიძე** სამშენებლო კომპანიისა და ბაღის წარმომადგენლებსაც შეხვდა.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები ქალაქის ყველა საბავშვო ბაღს ჩაუტარდება. პროგრამა მომავალ წელს დასრულდება.



ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტიტალაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

რედაქციის რეკვიზიტები:
საპარტოველო ბანკი
ზ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000